№ 29.

სახალხო გაზეთი

№ 29.

პარასკევი, 11 ივნისი 1910 წ. ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა წელიწადი პირველი

მოვაგონებთ წლიურ ხელის მომწერთ, რომ პირობით პირველ ივნისამდე უნდა წარედგინათ **7 მანეთი.** ვისაც ამაზე ნაკლები აქვს წარმოდგენილი, ვთხოვთ შემოიტანონ. **პირველ ივლისიდან** გაზეთის გზავნა მოესპობა ყველას, ვისაც 5 მან. 50 კაპ. ნაკლები აქვს წარმოდგენილი. აგრეთვე მოესპობათ გზავნა გაზეთისა, ვისაც ნახევარი წლითა ჰქონდა გამოწერილი.

სახალხო გაზეთის კანტორა.

მაისის 24 საზღვარ-გარეთ, გერმანიაში, ქ. მიუნხენში მოულოდნელად გარდაიცვალა სტუდენტი ფილოსოფიურ ფაკულტეტისა

გრიშა დარისპანის ძე მაღლაკელიძე

რასაც ღრმა მწუხარებაში მყოფნი გულ დამწვარნი მშობლები: **დარისპან ვახტანგის ძე მაღლაკელიძე**, ვასასი ბიჭიას ასული მაღლაკელიძისა და-ძმანნი: **ტრიფონ, ვლადიმერ, ოლღა და ვერა მაღლაკელიძეები**, ბიძა—**ეფრემ ვახტანგის ძე**, და ბიძის შვილი, **ილია გ. მაღლაკელიძეები** ამით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ პანაშვიდები იქნება გადახდილი დ. ყვირილაში წმ. დავით და კონსტანტინეს ეკლესიაში ამა ივნისის 13—20 და 27. ორმოცის წირვა და პანაშვიდი ცალკე იქნება გამოცხადებული. (1—ნ.—1)

სახალხო სახლი

პარასკევს, 11 ივნისს, შესდგება I

ლიტერატურული გასამართლება

„განდეგილი“-ს

ი. ჭავჭავაძის პოემიდან.

მონაწილეობენ: ბ-ნნი ვლ. ბაქრაძე, ნ. ელიავა, მ. ელიავა, ი. ზურაბიშვილი, ი. მაჭავარიანი, მ. მესხიშვილი, გ. მახარაძე, ს. ჯაფარიძე, კ. ჯაფარიძე და სხვ.

II წარმოდგენილი იქნება კ. ფოცხვერაშვილის პიესა

აშენდა საქართველო

სცენები 2 მოქმ. ქართ. სტუდენტების ცხოვრებიდან.

მონაწ. მიიღებენ: ბ-ნნი ანაშვილი, ბაქრაძე, ბადრიძე, მეტრეველი, პეპანოვი, სალაყაია, ჯაბაური და სხ.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ბილეთების ფასი 10 კ. 1 მ.-დე.

(3—3) გამგე **ალ. ს. ლანდია.**

ჭიათურის შავი-ქვის მრეწველთა

საბჭო

ამა 1910 წლის 1 სექტემბრიდან იწვევს გალობისა და სიმღერის მასწავლებელს ჭიათურის სამოქალაქო სასწავლებლისა და საანბანო სკოლისათვის. მასწავლებელს ჯამაგირი ექნება წელიწადში 900 მან. სასურველია მასწავლებელმა მუსიკა იცოდეს. თხოვნებს მიიღებს სამოქალაქო სასწავლებლის ინსპექტორი ამა წლის 10 აგვისტომდის ჭიათურაში. (3—ნ.—2)

გამოვიდა და დაურიგდა ხელის მომწერთ BATON-ის წიგნი

„ერი და კაცობრიობა“

კერძო მყიდველებმა და წიგნის მაღაზიებმა, ვისაც სურს წიგნი შეიძინოს, უნდა მიმართონ ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზ. წიგნის მაღაზიას.

ადრესი: Тифлисъ, Общество распространенія грамотности среди Грузинъ, Дворцовая ул. д. Груз. Дворянства. (0—6)

ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.
ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის“ სასტუმროს ახლოს,
ტელეფონი № 590.

ლამბაშიძე ვ. დ.: შინ. და ბავშვ. ყოველ დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.

გედევანიშვილი მ. ა. ნერ. და ელექტ. ორშ., ოთხშ., და პარ. 10½—11 ს.

ალხოვსკი-ზარანეკი ე. ვ. თვალისა. ყოველ-დღე კვირის გარდა 12—1 საათ.

ბურკი გ. ა. შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

კარშინი. ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

მაღლაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი ვ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და პას. 1—2 ს.

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს.

ფირაძოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.

პაპოვი ვ. ა. ყურ., ყელის და ცხვი., ყოვ. დღე გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.

ხოზოლევსკი გ. ვ. ქირურ., ყოვ. დღე 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი. ოპერაც. რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. საფასურით. (200—ნ.—200)

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარდამ ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიაჯიანცისა, ტელეფონი № 696.

გ. გაზაყმაძე—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

შ. ა. მიქელაძე—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

ბ. ა. პოპოვი—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.

ი. გ. ფეოდოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12½ ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—5.—361)

ბალი

მუზა

მიხაილოვის პროსპექტი № 163. კუთხე ბაქოს ქ.

ყოველდღე უკრავს სიმებიანი ორკესტრი, არის ბუფეტი და აგრეთვე აზიური და ევროპიული სამზარეულო. ბალში შესვლა უფასოა. (25—4)

ქუთაისის ვაჟთა გიმნაზია

ამით აცხადებს, რომ მომავალ 1910—1911 სამოსწავლო წლის დაწყებიდან გიმნაზიაში სწავლის ფულის რაოდენობა გადიდებული იქნება—70 მან. მაგიერ 80 მანეთი იქნება გადასახდელი. (3—ნ.—1)

ექ. ვ. ლამბაშიძის სანატორიუმი

პატარა ცემში

გაიხსნება 15 ივნისს ორის განყოფილებით:

ერთი—საბავშო, მეორე—დიდებისათვის.

დაწვრილებით პირობების გასაგებად მსურველთ უნდა მიმართონ წერილით ექიმს ვახტანგ ლამბაშიძეს **ბორჯომით** პატარა-ცემს. (25—9)

ქართველ თავად-აზნაურობის

ახალი საზაფხულო თეატრი

დღეს პარასკევს 11 ივნისს გაიმართება პირველი წარმოდგენა გამოჩენილ იტალიელ არტისტ.

ოტტონე ფრანკარდისა

1) **მოტაცება,** ხენსაც პიესა 1 მოქ. 8 როლი ქალებისა და ვაჟებისა.

2) ფრანკარდი ბოს! ფრანკარდი სოპრონო! ფრანკარდი სკრიპკის დამკვრელი! **„სოლფეჯიო“** ოპ. 1 მ.

დივერტისმენტი გამოჩენილ მომღერალთა მიბაძვა.

დასაწყისი საღამოს 8¾ საათ. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში დილის 11 ს.

მეორე წარმოდგენა ახალი პროგრამით 4 განყოფილებით. (2—ზალ.—2)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი ჯაბაშვილისა. (უ)

ექიმი ქუთაისში კ. თ. ტყეშელაშვილი იღებს შინაგან და **სპეციალურად** ვენერიულ სნეულებით ავადმყოფთ (ხუსუნაჭი, სიფილისი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სატკივარო). დილით 9—12, საღამოთი 5—7 საათ,, კვირაობით მხოლოდ დილით, ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა. (72—ჯგ.—63)

ექიმი დ. ახვლედიანი იღებს ავადმყოფებს. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. საღამოს 5—7 საათზე. ელისაბედის ქ. N 92. წლ.

ექიმი კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბორონის ქუჩა, N 14, სახლი დემიდოვისა. (0—586—454)

ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

ექიმი კბილისა ალ. სოლოლაშვილი იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

ექიმი ვ. ლამბაშიძე გადავიდა გოლოვინის პრ. N 8, ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. უ)

ექიმი ვასილ წერეთელი ქუთაისში იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოსე ქიქოძის სახლი. (0—უ.—201)

კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსა მ. გედევანიშვილისა. იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ, გურამ ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 79. (0—ნ.—84)

ექიმი ვ. ვაშაკიძე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—141)

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლღას ქუჩა N 25.

დ. სურამის კერძო პროგიმნაზიაში

1 ენკენისთვიდან იხსნება მეორე კლასი. მისაღები ეგზამენები დაიწყობა 25 მარიამობისთვიდან 1910 წლისა. (5—314—2)

ზემო ავჭალაში იძლევა აგარაკი ორი ოთახი თავის სამზარეულოთი. ოთახები მოთავსებულია ზემო სართულში და გარშემო მშვენიერი ბაღი აკრავს. პლატფორმიდან სულ შვიდი წუთის სასიარულოა.

იკითხეთ „სახ. გაზ.“ რედაქციაში.

შპალიერი

8 კაპეიკიდან 6 მან.-მდე რულო

ძმ. ტარნოპოლების

საწყობი რუსეთის ყველა დიდ ქალაქშია.

განყოფილება **ტფილისში:** გოლოვინის პრ., № 21, არტისტ. საზოგად. ქვეშ, ტელ. № 355.

ფასები საფაბრიკოა.

ნიმუშები უფასოდ. (50—1046—25)

ქართულ გიმნაზიის უფროსი კლასის მოწაფე ამზადებს მოწაფეებს დაბალ გიმნაზიურ კლასებისთვის და სხვა სასწავლებლებში.

იკითხეთ „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში. (0—ნ.—3)

ტფილისი, 11 ივნისი.

მეტად უფერულად დასრულდა ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წლევანდელი კრება. სკანდალები და ლაპარაკი ბევრი იყო, საქმით კი საყურადღებო არაფერი გაკეთდა. ყურადღებას განსაკუთრებით ხარჯთ-აღრიცხვა იპყრობდა. ქართველ საზოგადოებას ათასნაირი საჭიროება აქვს, ფული კი შედარებით ცოტაა. ამიტომ ყველა მოწადინებული იყო, რომ ფული, რაც შეიძლება, რაციონალურად განაწილებულიყო და უმთავრესი საჭიროებანი ჩვენი საზოგადოებისა დაუკმაყოფილებელი არ დარჩენილიყო. მაგრამ ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება ჩვეულებრივის შაბლონით მოხდა; წინ არ უძღოდა ყოველ-მხრივი და სხვა და სხვა პრინციპიალური მსჯელობა, რომელსაც უნდა გამოერკვია, რა უფრო ესაჭიროება დღეს ქართველ საზოგადოებას. დეპუტატთა საკრებულოს თითქოს წინდაწინვე ჰქონია გადაწყვეტილი ხარჯთ-აღრიცხვის უცვლელად დარჩენა. თავმჯდომარემ, თ-დმა ბაგრატიონ-დავითიშვილმა, ხარჯთ-აღრიცხვის განხილვამდე, პირდაპირ განაცხადა, ჩვენ ნახევარი წლის განმავლობაში ამ ხარჯთ-აღრიცხვის თანახმად ვხარჯავდით ფულს და ამიტომ შესამჩნევ ცვლილების შეტანა მასში ძალიან უხერხულ მდგომარეობაში ჩაგვაყენებსო. ამის შემდეგ საზოგადო კრებას, რასაკვირველია, ვეღარ შეეძლო ღირსეულ კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაეტარებინა ხარჯთ-აღრიცხვა და ცოტათ თუ ბევრად, გამორკვეული სამოქმედო გეგმა დაესახა. თავად-აზნაურობა კი სწორედ ამ მხრით არის სუსტი. ფულების განაწილება ყოველთვის როგორღაც არეულ-დარეულათა ხდება, თითქოს გამნაწილებლებს თვითონაც ვერ გამოურკვევიათ, რა უფრო საყურადღებო და მნიშვნელოვანია ჩვენთვის. ეტყობა, ფულის გამნაწილებლები არასოდეს არა სარგებლობენ ხოლმე ერთ რომელიმე სახელმძღვანელო აზრით; ამიტომ ხარჯთ-აღრიცხვასაც ყოველთვის შემთხვევითი ხასიათი ეძლევა. ერთ ხანად კრებაზე თითქოს მოისურვეს ამაზე ლაპარაკი, მაგრამ საკითხი მალე გადაფუჩქდა და დავიწყებას მიეცა.

ჩვენ გაზეთს არა ერთხელ გამოუთქვამს ის აზრი, რომ ამნაირის გზით სიარული სასურველ ბოლომდე ვერ მიიყვანს თავად-აზნაურობას. აუცილებლად საჭიროა, რომ ერთ ხელ და სამუდამოდ შემუშავდეს სახელმძღვანელო პრინციპები და შემდეგში ხარჯთ-აღრიცხვაც ამ პრინციპების თანახმად შესდგეს ხოლმე. ამისათვის კი ქართველ საზოგადოების საჭიროებათა გაცნობაა საჭირო. დეპუტატთა საკრებულოს კი, რომელიც ფაქტიურად ანაწილებს ფულებს, არავითარი წარმოდგენა არა ჰქონია ამ საჭიროებებზე. ეს რომ ასე არ იყოს, განა პროგიმნაზიების გამრავლებას ასეთის დაჟინებით შეუწყობდა ხელს, როდესაც აუარებელი ხალხი უმეცრების მორევში იხრჩობა? მაგრამ ამასაც თავი დავანებოთ. თავად-აზნაურობა ხალხის განმანათლებლის როლში წარმოუდგენელია. ათასში ერთხელ ამა თუ იმ კულტურულ დაწესებულებას თუ გადაუგდებს ოროოდ მანეთს ამ მიზნით, თორემ საკუთარის თაოსნობით ამ საქმეს თავის დღეში არ მოაწყობს. უბედურება იმაშია, რომ თავად-აზნაურობა თავის პირად ინტერესებსაც კი ვერა ხედავს. თავად-აზნაურობა ჩვენში უმეტეს შემთხვევაში მიწად-მფლობელთა და მიწად-მოქმედთ წოდებაა. მიუხედავად ამისა, მთელ საქართველოში ერთი ისეთი სამეურნეო სასწავლებელი არ მოიძებნება, სადაც გაღატაკებულ თავად-აზნაურთ სამეურნეო ცოდნის მიღება შეეძლოთ. კახეთის ცენტრში, თელავში, გიმნაზიის გახსნისთვისა ზრუნავენ. განა ეს სრული გაუგებრობა არ არის საკუთარის ინტერესებისა? უმეტეს შემთხვევაში გაღარიბებულ და გაღატაკებულ თავად-აზნაურთათვის კლასიკურ განათლების მთელი რგოლის შემოვლა პირდაპირ შეუძლებელ საქმეთა ხდება. ჩვენებურ პროგიმნაზიებსა და გიმნაზიებში, სწავლას რომ ასი კაცი იწყებს, დასრულებით, მგონია, ოცდა ხუთიც ვერ ასრულებს. გიმნაზიები წლითი წლობით იცხრილება. სად უნდა წავიდეს ამისთანა ხალხი? სოფლისთვის გამოუსადეგარი, იგი ქალაქისთვისაც არ ვარგა. სწავლის ნახევარ გზაზე გაჩერებული ყმაწვილი პარაზიტადა ხდება, ყოვლად გამოუსადეგარ არსებად. ეჭვს გარეშეა, პროგიმნაზიებისა და გიმნაზიების გამრავლება ასეთ ელემენტების გამრავლებასაც გამოიწვევს. თავად-აზნაურობაც თავის მოუფიქრებელ მოქმედებით ხელს უწყობს ასეთ მოვლენას.

არის კიდევ ბევრი სხვა საკითხები, რომელთა გამორკვევაც თავად-აზნაურობისთვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს, მაგრამ ამ ჟამად ამითიც უნდა დავკმაყოფილდეთ, მით უფრო, რომ ხარჯთ-აღრიცხვა უკვე განხილული და დამტკიცებულია. არ შეგვიძლიან მხოლოდ ორიოდე სიტყვით არ შევეხოთ იმ ჯამს (6000 მ.), რომელიც დეპუტატთა საკრებულოს გადაეცა გასანაწილებლად. მთხოვნელი ძალიან ბევრია, ფული კი—ცოტა; მაგრამ მთხოვნელთა შორის არიან ისეთი დაწესებულებანი, რომელნიც განსაკუთრებით საჭიროებენ თავად-აზნაურობის დახმარებას. ავიღოთ, მაგალითად, საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება. ამისთანა საზოგადოებებს სხვა ქვეყნებში ჩვეულებრივად სახელმწიფო ეხმარება ხოლმე. ქართული საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება დიდი ხანი არ არის, რაც არსებობს, მაგრამ მუშაობაში მაინც დიდი ნაყოფიერება გამოიჩინა. აუცილებლად საჭიროა დახმარების ხელი გაეწოდოს ამ სიმპატიურ დაწესებულებას, რომ მოქმედების გაფართოება მოახერხოს და პირნათლად შეასრულოს თავისი დანიშნულება. ჩვენის აზრით, დეპუტატთა საკრებულომ უმთავრესი თავისი ყურადღება სწორედ ამ საზოგადოებას უნდა მოახმაროს. ასეთივე დიდ-მნიშვნელოვანია ფილარმონიული საზოგადოება. ამასთანავე ერთად ამ საზოგადოებასაც ესაჭიროება კარგი მფარველი. ფილარმონიულ საზოგადოებას ადვილად შეუძლიან თავისი საქმეები ისე მოაწყოს, რომ სუბსიდიებს არ საჭიროებდეს, მაგრამ ჯერჯერობით დახმარება ამასაც უნდა. შემდეგ, არ შეგვიძლია უყურადღებოდ დავტოვოთ საზოგადოება „განათლება“ და სამეურნეო ჟურნალი „მოსავალი“. აი ის ოთხი დაწესებულება, რომელთა შორისაც უნდა განაწილდეს, ჩვენის წარმოდგენით, დეპუტატთა საკრებულოს გამგეობაში გადადებული ფული.

სახელმწიფო საბჭო

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტო)

9 ივნისის სხდომა.

თავმჯდომარეობდა **აკიმოვი**. მიიღეს რამდენიმე წვრილმანი კანონპროექტი და შემდეგ განაგრძეს კამათი ფინლანდიის კანონ-პროექტის შესახებ. უგანათ. თავ. **ლიევენმა** უარჰყო კანონ-პროექტი და განაცხადა, შეუძლებელია მივიღოთ პროექტი, რადგან ფინლანდიელთ ისეთ მდგომარეობაში აყენებს, რომ სეპარატიულ მიდრეკილებაზე ვერას დროს ხელს ვერ აიღებენ. ორატორის აზრით, კანონ-პროექტი არსებითად ეწინააღმდეგება უმაღლეს მანიფესტის აზრს ფინლანდიის საკანონმდებლო დაწესებულების აღიარების შესახებ. მეორე მუხლი აუქმებს ფინლანდიის ადგილობრივ კანონმდებლობას. უსარგებლოა — ფინლანდიის დეპუტატების მოწვევა რუსეთის საკანონმდებლო დაწესებულებებში. მათი რიცხვი მეტად მცირე იქნება და ვერ შესძლებენ თავიანთ უფლებათა დაცვას. საქმის მოსაგვარებლად საუმჯობესო იქნებოდა დაარსებულიყო განსაკუთრებული საკრებულო, სადაც ფინლანდიელნი და რუსნი თანაბრად მიიღებენ მონაწილეობას. ამავე ორატორმა პროტესტი განაცხადა საკითხის ასე დაჩქარებით განხილვის გამო. დიდხანს ილაპარაკა მომხსენებელმა **კობილინსკიმ**, რომელმაც პასუხი გასცა წინა ორატორს და კანონ-პროექტი დაიცვა. **სუხოტინმა** მოითხოვა კანონპროექტის დაუყოვნებლივ მიღება, რადგან ფინლანდია დღეს რუსეთის მოღალატეობის თავის ამშლელ კუთხედ არის გადაქცეული. სირმუნდმა პასუხი მისცა წინა ორატორს და სთქვა, რომ რუსეთს არავითარი საფრთხე არ მოელის ფინლანდიის მხრივათ. **ოლსუფიევმა** სთქვა, კანონ-პროექტი ალმოცენდა ისეთ დროს, როდესაც აღმოსავლეთში დამარცხების შემდეგ ეროვნული გრძნობა მეტად გაცალმხრივდა. კანონ-პროექტს ზედ ატყვია ამ დროის დაღი. გრაფმა ოლსუფიევმა პროტესტი განაცხადა კანონპროექტის ასე აჩქარებით განხილვის შესახებ. ასეთი სისწრაფე ფინლანდიელთა ნდობას ვერ გამოიწვევსო. შემდეგი სხდომა 10 ივნისისათვის დაინიშნა.

დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

9 ივნისი.

საზღვარ-გარედ.

ბერლინი. სადამოს გაზეთების სიტყვით პოტსდამის ახლოს სამოგზაურო სადგურ რუდებენზე შეაჩერეს ერთი ავადმყოფი რუსი მუშა, რომელიც ხოლერის მხრივ საეჭვოდ იცნეს.

ფრიდბერგი (ჰესსენი). დღისით ქალაქის სამმართველოში ძლიერი აფეთქება მოხდა. დაინგრა კიბე. რამდენიმე კედელი და კარი დაზიანდა. არავინ დაშავებულა. ამავე დროს უცნობი შეიპარა სამმართველოს ახლოს სამეურნეო ბანკის ფილიალურ განყოფილებაში და უფროსს რევოლვერი ესროლა. როცა რევოლვერის ხმაზე ხალხი შეგროვდა, ბოროტგანმზრახველს ველოსიპედით უნდოდა გაქცევა. გზაში დასჭრა გამვლელნი, მოწაფე და ორი გლეხი. ნუგეშის ახლოს მან თავი მოიკლა. ჯიბეში 4700 მარკა უნახეს.

ბერლინი. 9 ივნისის „ნაციონალ-ცეიტუნგ“-ი სწერს: სტოლიპინის სიტყვის შედეგად ის იქნება, რომ სათათბიროსავით საბჭოც მიიღებს ფინლანდიის კანონ-პროექტს მთავრობის რედაქციით. „კრეიც-ცეიტუნგი“ ამბობს: ჩვენ ფინლანდიელებთან ერთად ვგრძნობთ იმ უბედურობას, რომელიც მათ ავტონომიურ უფლებათა დაკარგვით დაატყდა თავს, მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია არ მოვიწონოთ რუსეთის მთავრობის მოქმედება, რომელიც სახელმწიფო მოსაზრებით არის გამოწვეული. რუსეთის მთავრობას აქვს უფლება მოაწყოს შინაური საქმეები ისე, როგორც უფრო შესაფერი იქნება იმპერიის ნაციონალურ ინტერესებისთვისაო.

კალე. ფალიერის, მინისტრების ბრიანის, დაპეირეის, ბრენის, პარლამენტის და სხვა დეპუტატების თანადასწრებით მიწას მიაბარეს წყალ ქვეშ მავალ ნავ „პლიუვიოზ“-ზე დაღუპული 27 კაცის გვამი. ნაციონალურ ბაირაღებით და ყვავილებით მორთული მიცვალებულნი წაასვენეს საკათედრო ტაძარში პანაშვიდის გადასახდელად. სუყველა ზარებს რეკავდნენ. ზარბაზნებს გუგუნი გაქონდათ. დაკრძალვის ალაგას კალეს თავმა, საზღვაო მინისტრმა და ფალიერმა სიტყვები წარმოსთქვეს და შეაქეს დაღუპული მეზღვაურები, რომელთაც სამშობლოსათვის დასდეს თავით. შემდეგ ფალიერმა დაურიგა მენდლები ზოგ-ზოგს დაღუპვის დროს რამდენიმე კაცის გადარჩენისათვის და პარიზში წავიდა.

ოსმალეთი

სტამბოლი. დეპუტატთა პალატა. პოლიციის ბიუჯეტის განხილვის დროს რამდენიმე დეპუტატი შეეკითხა მთავრობას, როგორ სწარმოებს ჟურნალისტ სამიმის მოკვლის საქმის გამოძიება და ბრალი დასდეს „ერთობისა და პროგრესის“ კომიტეტს მკვლელობაში. კომიტეტის მომხრეები ამის წინააღმდეგ ცხარე პროტესტს აცხადებენ. დიდმა ვეზირმა აღუთქვა რომ მკვლელები, ვინც არ უნდა იყვნენ იგინი, შესაფერისად დაისჯებიან, ბიუჯეტი მიიღეს.

სპარსეთი

თეირანი. მეჯლისმა 2000 მანეთი გადასდო იმ კომისიის ხარჯებისთვის, რომელიც ევროპაში იგზავნება იარაღის შეძენის საკითხის გამოსარკვევად.

ურმია. გუბერნატორმა და ენჯუმენმა განცხადება გამოაკრეს, რომლითაც 9 საათის შემდეგ ქალაქ გარედ გასვლა აკრძალულია. დამ-დამობით ქალაქის ახლო-მახლო დაძრწიან ქურთები და სცარცვამენ ხალხს. იზმაილ-გაკლასის გზაზე მოკლეს ერთი აისორი, დასჭრეს მეორე.

რუსეთი

მოგილევი. გუბერნატორის თავმჯდომარეობით მოხდა თათბირი დაზარალებულთა დასახმარებლად ზომების შესამუშავებლად. დაადგინეს იშუამდგომლონ მთავრობის წინაშე აღმოუჩინონ დაზარალებულთ დახმარება, უფასოდ დაურიგონ ხე-ტყე და სხვ. გუბერნიაში შემოწირულებათა შესაგროვებლად შესდგა კომიტეტი. თათბირზე გამართულ ხელის-მოწერით შეაგროვეს 2 500 მან.

პეტერბურგი. სახელმწიფო სათათბიროს მესამე სესიის დროს მთავრობამ შეიტანა 500 კანონ-პროექტი, მეორე სესიის აქეთ განუხილველი დარჩა 202, სახელმწიფო საბჭოსაგან შევიდა ხელახლად განსახილველად 56 გადაკეთებული კანონ-პროექტი და 12 შეუთანხმებელი დასკვნა. სათათბიროს წევრებმა შეიტანეს 28 კანონმდებლობითი პროექტი და 37 შეკითხვა. ამ რიცხვიდან სათათბირომ მოიწონა 429, უარყო 20, უკან დაუბრუნა მინისტრებს მათის თხოვნით 35, დარჩენილია 236 კანონ-პროექტი. შეკითხვებიდან სათათბირომ მიიღო 21, უარყო 5, ერთი კომისიას დაუბრუნდა, 9 მოხსნეს შეკითხვის ინიციატორებმა.

სმოლენსკი. როსლავის მაზრაში სოფელ დუროვშჩინაში ცეცხლმა 36 მოსახლეობა გაანადგურა.

როვნო. გადაიწვა დაბა დერაჟნო. ზარალი 100,000 მან. უდრის.

ოდესა. სეტყვამ გაანადგურა 490 დესეტინა ნათესი. ზარალი 300,000 მანეთია.

მოსკოვი. ადმინისტრაციამ „რუსკოე სლოვოს“ 500 მანეთი ჯარიმა დაადო „ტამბოვის რევიზია“-ს დაბეჭდვისათვის.

ოდესა. სოფიის სლავიანთა კრებაზე უნივერსიტეტმა პროფესორი კაზანსკი გაგზავნა.

ოდესა. სენატორის რევიზიის წევრებმა გაჩხრიკეს შეფერის და გელმანის პურის მაღაზია. წაიღეს წიგნები და მიწერ-მოწერა, გამოკითხეს მსახურებს.

ოდესა სადგურ ხანჟენკოვოს მახლობლად სამგზავრო მატარებელი დაეჯახა საქონლის მატარებელს. რამდენიმე ვაგონი დაზიანდა. მსუბუქად დაშავდა კონდუქტორი და სამი მგზავრი.

ხოლერა

პეტერბურგი. ხოლერით გარდაიცვალა 1 ქალი, რომელიც სპარსეთის საზღვრებიდან მოვიდა.

ოდესა. 8 ივნისს ხოლერით გარდაიცვალა 2, ავად არის 7 კაცი.

სამარა. ხოლერით გარდაიცვალა ორი კაცი.

ხერსონი. გუბერნიაში კვირის განმავლობაში ხოლერით ავად გახდა 143, გარდაიცვალა 40 კაცი. ქალაქში ავად გახდა 64, გარდაიცვალა 16 კაცი.

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **ეგზარხოსი ბათუმში.** 8 ივნისს საჩქარო მატარებლით დილის 10½ საათზე ბათუმში ჩამოვიდა ყოვლად უსამღვდელოესი სრულიად საქართველოს ეგზარხოსი ინოკენტი. ქუჩებში დილიდანვე არაჩვეულებრივი მოძრაობა. ჯარის კაცნი მრავლად მიდი-მოდიან, 10 საათზედ მთელი აქ მყოფი ჯარი და სამხედრო გემებიდან გადმოსხმული მატროსები გაამწკრივეს ვაგზლიდან ძველ საკრებულო ტაძრამდე, საითკენაც უნდა გაევლო მის ყოვლად უსამღვდელოესობას. სადგურზე დახვდნენ: სამღვდელოება, ქალაქის წარმომადგენლები და სამხედრო პირები. პირველად პურ-მარილით მიესალმა ქალაქის თავი თ-დ ანდრონიკაშვილი, რომელმაც შემდეგი მოკლე სიტყვით მიმართა: „ქალაქ ბათუმის მცხოვრების სახელით მოგესალმებით, თქვენო ყოვ. უსამღვდელოესობავ, კეთილი იყოს თქვენი აქ მობძანება. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ, თქვენ როგორც უმაღლესი მატარებელი ქრისტეს მცნებისა ჩვენში, განამტკიცებთ ქრისტიანულ სიყვარულს. გთხოვთ მიიღოთ ეს ემბლემა ნიშნად პატივისცემისა“

ეგზარხოსმა მადლობა გადაუხადა. შემდეგ მიესალმნენ სხვანი. აქედან საგანგებო ეტლით ეგზარხოსი და კომენდანტი გაემგზავრნენ ძველ საკრებულო ტაძრისაკენ, აქაც მიეგება სამღვდელოება. მღ. თოთიბაძემ მოკლე სიტყვით მიმართა და ის აზრი გამოსთქვა, რომ ეხლანდელი საკრებულო ტაძარი პატარა დაამიტომ ვერ აკმაყოფილებს მლოცველს, ახლად აშენებული საკრებულო ტაძარი სამხედრო უწყების ხელში გადავიდა, ქართული ეკლესია-კი უსახსრობის გამო ვერ გავათავეთო.

ეგზარხოსმა ლოცვა-კურთხევა გადმოსცა ხალხს და უსურვა, რომ ეს ძველი საკრებულო ტაძარი ახალ მშვენიერ ეკლესიად გადაკეთებულიყოს. აქედან გაემგზავრა ახალ საკრებულო ტაძრში, სადაც მცირე ლოცვის გადახდის შემდეგ, შეაქო ეს ტაძარი და მისი დამფუძნებელი იმპ. ალექსანდრე მე-III. აქედან ქართველთა ახლად ასაგებელ ეკლესიისაკენ გაემართნენ. აქ ანდრონიკაშვილი და კომენდანტი უხსნიდნენ საქმის მსვლელობის მიმართულებას, შემდეგ შევიდნენ ბერძენთა ეკლესიაში, სადაც ბლაღოჩ. ცანდეკოვის მისალმების სიტყვაზე ეგზარხოსმა უპასუხა: ბერძენთა და რუსთა მართმადიდებელი ეკლესიები ყოველთვის ძმური კავშირით იყვნენ შეერთებულნი. ეს გარემოება თავდები უნდა იყოს იმისა, რომ დღესაც ეს ორი ეკლესია თანხმობით იცხოვრებსო. იმავე დღეს ეგზარხოსი გაემგზავრა სოჩში, სადაც დაჰყოფს მთელ ზაფხულს.

◆ **დირექტორის მოკვლა.** როგორც გადმოგვცემენ, ტემირხან-შურაში ადგილობრივ რეალურ სასწავლებლის მე-6 კლასის მოწაფეს მოუკლავს იმავე სასწავლებლის დირექტორი ალექსანდრე მიხაილის ძე სიბირცევი.

◆ **აბრეკის შეპყრობა.** სამხედრო **გზის ყაზახ**ებმა შეიპყრეს აბრეკი მამუკა არაბული, რომელიც დიდი ხანია იმალებოდა. როდესაც ის მიიყვანეს ყაზახების „პოსტზე“ და იარაღს ჰყრიდენ, მან ერთ პოლიციის მოხელეს ხელიდან გამოსტაცა ხანჯალი, მოჰკლა ერთი, დასჭრა ორი ყაზახი და გაიქცა ტყეში, მაგრამ იგი სროლით მოჰკლეს.

◆ **ნიაღვარი და ქარ-ბუქი.** სული წმიდის მოფენის დღეს ქ. ფოთში კოკისპირული წვიმა იყო. წყალი მრავალ ალაგას ჩადგა. იმავ ღამეს საშინელი ქარბუქი ამოვარდა. ასეთი მძლავრი ქარი ფოთის მცხოვრებთ ჯერ არ ახსოვთ. ქარმა ზოგ სახლებს სახურავი აძრო და ზოგან კიდევ ფანჯრები დალეწა.

◆ **წყლის გასინჯვა.** ქალაქის ქიმიურ ლაბორატორიამ გამოიკვლია სასმელი წყალი. გამოკვლევამ დაამტკიცა წყლის სისაღე.

◆ **სიფხიზლის საზოგადოების შუამდგომლობა.** ტფ. სიფხიზლის საზოგადოებამ შუამდგომლობა აღძრა ქალაქის გამგეობის წინაშე, დაეთმოს საზოგადოებას ადგილი სახალხო სახლის ასაშენებლად.

◆ **ფოსტა ჭრებალოში.** 9 ივნისს ჭრებალოში, (ქუთაისის გუბ.) გაიხსნა საფოსტო განყოფილება.

◆ გაზ. „ზაკვ.“-ს ატყობინებენ: ამ რამდენიმე დღის წინად სოფელ გვაიკითში, შორაპნის მაზრაში, ხუთი შეიარაღებული ბოროტ-განმზრახველი თავს დაესხა ამავე სოფლის მცხოვრებს სპირიდონ სალაძეს რამდენჯერმე გაისროლეს რევოლვერი, დასჭრეს მოსამსახურე სალაძისა, წაიღეს ფულად 150 მ. და 300 მანეთის ნივთები და მიიმალნენ. მეორე დღეს ეჭვით დააპატიმრეს რამდენიმე კაცი.

◆ 8 ივნისს ოდესის მოქალაქემ ევსევი ბრიგადირმა, რომელსაც მიხეილის ქუჩაზე დურგალს აქვს, გამოუცხადა პოლიციას, რომ მის შიგ არ ყოფნის დროს მის სახელოსნოდან ვიღაცეებს 30 მანეთამდე ღირებული იარაღი მოუპარავთ. მან ეჭვი მიიტანა თვის მსახურ ვორონეჟის გუბერნიის სოფელ ივანდოვიშნეს მცხოვრებ სტეფანე მიხაილოვზე. მიხაილოვი შეიპყრეს.

◆ 8 ივნისს დღის ორ საათზე რკინის გზის ხიდის ახლოს პოლიციამ შეიპყრო გორის მაზრის სოფელ გრაკლის მცხოვრები ასლანა დურგლიშვილი, რომელსაც 21 ნახევარი გირვანქა ახალი დაჭერილი ლოქო მიჰქონდა. თევზის ჭერა ეხლა, როგორც ვიცით, აკრძალულია, ამიტომ დურგლიშვილს პასუხის გებაში აძლევენ.

◆ რიყის ქუჩაზე მცხოვრებმა კერძო ვექილმა ბაგრატა მნაცაკანის ძე სააკოვმა პოლიციას გამოუცხადა, რომ მის შინ არ ყოფნის დროს შერჩეულ გასაღებით ვიღაცეებს მისი სახლი გაუღიათ და 329 მანეთის ოქრო-ვერცხლის ნივთეულობა წაუღიათ. ეჭვი მიუტანია ძმისწულზე სტეფანე თოთულოვზე, რომელიც მასთან ცხოვრობდა.

მცირე მოხსენება

ბედი ტერიტორიისა და ხალხის განათლებისა მჭიდროდ არის ერთმანეთთან შეკავშირებული. მიწა-წყლის სიმცირით შევიწროებული ხალხი ადვილად გააფართოვებს თავის უძრავს საკუთრებას, დაიბრუნებს დაკარგულს სახნავ—სათესსა, ტერიტორიასა, თუ მის შორის მზრუნველნი ხელნი გაამრავლებენ კერებს ნამდვილი განათლებისასა. წინააღმდეგ ამისა, ხალხს, მოკლებულს სწავლასა და ცოდნასა და სიბნელეში მყოფსა, ადვილად გამოაცლიან ხელიდან მიწა-წყალსა გარეშე ელემენტები, მეზობლად დასახლებულნი, თუ ესენი შეიარაღებულნი არიან ცოდნით, თან და თან მიისაკუთრებენ მისს უძრავს ქონებასა, სახნავ-სათესსა და ცარიელზე დასვამენ დიდი ხნის მკვიდრთა.

ამ ჟამად ჩვენს სამშობლოში მეტად გამწვავდა ტერიტორიის საკითხი. მისი წადმა დატრიალება და სანატრელად დაბოლოება ითხოვს მთელს უნარს ქართველობისასა. მაგრამ არა ნაკლებ უნარს მოითხოვს ჩვენგან სახალხო განათლების საკითხი საქართველოში. მისი ბედი უნდა გადასწყდეს ახლო მომავალში. მდგომარე წლის შემოდგომის დამდეგში სახელმწიფო სათათბირომ, უპირველესად ყოვლისა, უნდა განიხილოს პროექტები შესახებ ხალხის განათლების რეორგანიზაციისა, ქართველნი მოვალენი ვართ ჩვენი მხრივ დავეხმაროთ კეთილად გადაწყვეტას ამ დიდ მნიშვნელოვანი საკითხისას, მეტადრე უნდა ხელი მოუმართოთ დაბალი სახალხო სკოლების დაყენებას წმინდა პედაგოგიურს ნიადაგზე.

ჩვენებური დეპუტატები ითხოვენ გამოქვეყნებას ყოველ გვარი ცნობებისას შესახებ ხალხის განათლების მსვლელობისა წარსულში და მის მდგომარეობისას აწმყოში. სხვათაშორის, ამისთანა შინაარსის წერილი წავიკითხე ორის თვის წინად „ჩვენს გაზეთში“ დეპუტატი კარლო ჩხეიძისა. ამ გვარივე წერილი მივიღეთ ჩვენ პირადად ერთი სატახტო გაზეთის— **Утро России**—რედაქციიდგან.

სწორედ ამ გარემოებამ დაგვაჩქარებინა გამოცემა ცალკე ტომად ჩვენის პედაგოგიურის და პუბლიცისტურის ნაწერებისა, რომელიც ამ თვის ბოლომდინ მზად იქმნება. ჩემი პედაგოგიური წერილებიდან—დეპუტატები, რედაქციები და მკითხველები, სხვათა შორის, შეიტყობენ, რა გვარი სამოსწავლო გეგმა იქმნა შემოღებული ჩვენ სახალხო სკოლებში ბატონ-ყმობის გაუქმების შემდეგ (იმაზე ადრე საქართველოში სახალხო სკოლები არ არსებობდა, რადგანაც მონების სწავლება საშიშრად მიაჩნდათ), რა გვარი ცვლილება მოახდინა ამ გეგმაში მზრუნველმა იანოვსკიმ და რა ნაყოფი გამოიღო ამ ცვლილებამა, აგრეთვე გაიცნობენ მოკლე სამოსწავლო გეგმას ჩვენის ახალის ნამესტნიკისასა და ვრცელს გეგმას ალექსი ბესარიონის ძის ჭიჭინაძის კომისიისა, რომელსაც სარჩულად დაედო ნამესტნიკის გეგმა, და სხვანი.—

ჩვენს საპედაგოგიო წერილებში აგრეთვე ვეხებით, თუ რა მდგომარეობაში იყო ხალხის განათლება ძველს საქართველოში, როდესაც იგი შეადგენდა ცალკე სახელმწიფოსა; მაგრამ ვეხებით მოკლედ, საზოგადოდ და არა ვრცლად და დაწვრილებით. განვითარებული, გაფურჩქვნილი და დაწვრილებითი ცნობები კი ფრიად საჭირონი არიან, მეტადრე ახლანდელს მომენტში. ამ შრომის შესრულება და ცალკე წიგნად გამოცემა ყველაზე უკეთესად ავტორიტეტულად შეუძლიან ჩვენს „საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებას“, რომლის თავმჯდომარე ექვთიმე სვიმონის ძე თაყაიშვილი საქმეში ჩახედული პედაგოგიც არის და მიჩნეული ისტორიკოსიცა, ამ შრომის შესრულებაში დიდს დახმარებას გაუწევენ, სხვათა შორის, წერილები ბ-ნი ცომაიასი, დაბეჭდილნი ჟურნალს **„განათლება“-ში** ამ სათაურით: **„სწავლა—აღზრდის საქმე მთელს საქართველოში“**.

ამ გვარს პედაგოგიურს და ისტორიულს წიგნებს შეუძლიანთ მოჰფინონ თვითონ ქართველს საზოგადოებაში, რომელიც ამ მხრივ სიბნელეში იმყოფება, ნათელი შეხედულობანი--შესახებ ხალხის განათლების საკითხებისა, კარგად გაუთვალისწუნონ მას როგორც მავნებლობა პოლიტიკანობისა ამ სფერაში, ისე დიდი სარგებლობა წმინდა პედაგოგიურის ორგანიზაციისა და გამგეობისა, და დაბადონ მასში აქტიური მოძრაობა, რომელსაც საგნად ექმნება სახალხო სკოლების მოწყობა ისე, როგორც იგინი გაჩაღხულნი არიან დაწინაურებულს ქვეყნებში.

ხსენებული მონაწილეობით არ განვსაზღვრავთ ჩვენს მონაწილეობას ამ დიდს საქმეში. შემოდგომაზედ დავბეჭდავთ ცალკე ტომადვე ჩვენს რუსულს წერილებს, რომელნიც უმთავრესად პედაგოგიური შინაარსიანი არიან და რომელნიც მოთავსებულნი იყვნენ სხვა და სხვა რუსულს პერიოდულს გამოცემებში, და დავუგზავნით მას სატახტო და საუნივერსიტეტო ქალაქების რედაქციებს როგორც ჟურნალებისას, ისე გაზეთებისას... რომელ ქართველსაც კი შეუძლიან ამ საქმეში მონაწილეობა მიიღოს, არ უნდა დაიზაროს, რადგანაც რაც შემოდგომაზე გადაწყდება სათათბიროში ხალხის განათლების რეორგანიზაციის შესახებ, იგი კანონად დაიდება დიდი ხნით.

იაკობ გოგებაშვილი.

ქუთ. ქართ. დრამატ. საზოგად. წევრთა საზოგადო კრება.

7 ივნისს ქალაქის გამგეობის დარბაზში, ი. გ. ჩიმაკაძის თავმჯდომარეობით მოხდა ადგილობრივი ქართული დრამატიული საზოგადოების წევრთა საზოგადო კრება, რომელსაც, უპირველეს ყოვლისა, მოხსენდა წარსული საანგარიშო წლის (1909 წლის 1 ივნისიდან 1910 წლის ივნისამდე) მოქმედების ანგარიში. როგორც ამ ანგარიშიდანა სჩანს, საანგარიშო წელში საზოგადოების საქმეები ჩინებულად ყოფილა დაყენებული, რაც ქართული თეატრისათვის არაჩვეულებრივ მოვლენად უნდა ჩაითვალოს. წარსულ სეზონში საზოგადოების გამგეობას გაუმართავს სულ 53 ქართული წარმოდგენა, რომელსაც დასწრებია 27.000 სულზე მეტი და რომლის შემოსავალი ყოფილა 10.000 მანეთზე მეტი. წარმოდგენების ნორმალური მსვლელობა ცოტათი შეუფერხებია ვ. ს. ალექსი-მესხიშვილისა და საზოგადოების გამგეობის შორის მომხდარ ინციდენტს, რომელსაც შედეგად ის მოჰყოლია, რომ თეატრში მოსიარულე საზოგადოების ერთ ნაწილს თეატრისათვის დროებით ზურგი შეუქცევია.

თეატრის მთელი წლის შემოსავალი ყოფილა 18.220 მან. 19 კ., (სავარაუდო შემოსავალზე 4,10 მან. 57 კაპ. მეტი), გასავალი კი 18.200 მან. 9 კაპ. (სავარაუდო გასავალზე 2,600 მ. 9 კაპ. მეტი). ამ გვარად, საზოგადოების შემოსავალი გასავალზე მეტი ყოფილა 20 მან. 10 კაპ. თუმცა ამ ჟამად საზოგადოებას აქვს სხვა და სხვა პირების ვალი სულ 1,578 მან. 60 კ., მაგრამ, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ საანგარიშო წლის განმავლობაში გამგეობას დაუხარჯავს: გარდერობის შესაძენად 1,193 მან. 96 კაპ., წიგნთსაცავზე—225 მან. 7 კაპ., თეატრის ინვენტარის შეძენაზე—96 მ. 98 კ., დეკორაციების შესაძენად—394 მან. 5 კ., სკამების საყიდლად—81 მ. 20 კ. და თეატრის შესაკეთებლად 244 მ. კაპ. (უკანასკნელი უნდა ჩაეთვალოს ქალაქის გამგეობას მდგომარე წლის თეატრის იჯარის ანგარიშში, რადგან თეატრის შეკეთება ქალაქის გამგეობის მოვალეობა იყო), ე. ი. სულ 2235 მან. 11 კაპ.,—დავინახავთ, რომ საზოგადოებას არამც თუ არავითარი დეფიციტი, მოგებაც კი ქონია 656 მან. 50 კ.! ასეთი მოვლენა კი ქართული თეატრის ისტორიაში სამაგალითოდ უნდა ჩაითვალოს.

გამგეობის მოღვაწეობას, როგორც სარევიზიო კომისიის მოხსენებიდანა სჩანს, აგერ-ეგერ ლაქებიც აქვს (**пятна**), მაგრამ ეს ლაქები იმდენად უფერული და უმნიშვნელოა, რომ, თუ ძრიელ არ დააკვირდებით, ისე ვერც კი შეამჩნევთ.

საზოგადო კრებამაც დააფასა გამგეობის მოღვაწეობა, ერთხმად მადლობა გამოუცხადა მას და ერთხმადვე აირჩია ისევ ძველი გამგეობა; გამგეობის წევრის გრ. აბაკელიას ნაცვლად კი, რომელიც ქუთაისიდან სხვაგან გადაიყვანეს სამსახურში, არჩეულ იქმნა ბ-ნი ნათაძე. მადლობა გამოეცხადა აგრეთვე სარევიზიო კომისიას საზოგადოების საქმეების დაწვრილებით გაცნობისა და მიუდგომელი სარევიზიო მოხსენების წარმოდგენისათვის. სარევიზიო კომისიაშიაც ერთხმად ისევ ძველი წევრები აირჩიეს.

შემდეგ კრებამ დაადგინა მადლობა გამოუცხადეს ქუთაისის ქართულ-დრამატიულ დასს და მის მუდმივს რეჟისორს ვ. ლ. გუნიას, რომლის დაუღალავმა შრომამ დიდი ღვაწლი დასდო ქუთაისის ქართულ სცენას. ვსარგებლობთ შემთხვევით, ვაცნობებთ ქუთაისის საზოგადოებას, რომ კვირას, 13 ივნისს, ქალაქის ბაღში გაიმართება სეირნობა იმ მეტად სიმპატიური დაწესებულებისათვის, რომლის შესახებ ზემოდ გვქონდა ლაპარაკი და რომლის საქმეები ასე ჩინებულადაა დაყენებული. ყოველი ქართველი თავის ზნეობრივ მოვალეობად უნდა სთვლიდეს, ამ ჩვენს საუკეთესო ეროვნულ დაწესებულებას ხელი შეუწყოს და არ გადაახვევინოს იმ გზიდან, რომელსაც ის ახლა ადგია.

იხარა.

მოწერილი ამბები

სოფ. დვანი (ფრონის ხეობა). აქაურ მოსავალს ჯერ-ჯერობით კარგი პირი უჩანს თუ შემდეგში არაფერმა გააფუჭა. გადაშლილი ბაღ-ვენახები და ზღვასავით მღელვარე ყანები სასიამოვნო სანახავს წარმოადგენს. საკმარისია ერთი თვალი გადაავლოს კაცმა მდ. ფრონის ხეობას, გლეხის ნაშრომ-ნაამაგდარ ჭირნახულებს, რომ დასტკბეს და თავისთვის წაილაპარაკოს: „ეხლა კი იქნება წელში გასწორდეს მიწის მშრომელი გლეხი, გაისტუმროს ათასნაირი გადასახადი და გაიძღოს წინანდელი მოუსავლობით დამშეული

კუჭიო“: მართლა და თუ არაფერი ევნო და სიმშრალით ჩაიბინავს, იქნება ცოტათი მაინც შეიმსუბუქონ ის სიღარიბე, რომელსაც ამ ჟამად განიცდიან. ათასნაირი გადასახადი ტვირთად აწევს დღეს გლეხს და შემოსავალი კი არსაიდანა აქვს. გლეხის ავლა-დიდებას ჭირნახული შეადგენს და აგერ ორი-სამი წელიწადია არ მოსულა. როდესაც კი გაუჭირდება რამე გლეხს, იძულებული ხდება ისევ თავის დამღუპველ ჩარჩებს მიმართოს, აიღოს ვალი, ისიც თუ ენდნენ, და ერთი-ორად ვექსილი დაუწეროს, რომლის გადახდაც დღიდგით აწვება და შვილი-შვილამდე ვეღარ თავისუფლდება.

კარგა ხანია ნახევარზე მეტს სარჩო აკლდა და გულის ფანცქალით ელიან ჭირნახულის გაჭრას. ძლივ გაი-გაკლდახით ყიდულობენ სიმინდს, რომელიც ფუთი 1 მან. ფასობს და ისე იკვებებიან. ზოგ-ზოგები ეხლავე ჰყიდიან ჭირნახულს ჩალის ფასად ჩარჩებს და რომ მოვიდეს კიდეც, იმათ მოუნდებათ მოსავალი, თვითონ გლეხი კი ისევ მშიერი დარჩება.

სიღარიბესთან ერთად სოფ. დვანი და საერთოდ ფრონის ხეობა სწავლა-განათლებითაც ჩამორჩენილია. სამაგიეროდ გამეფებულია ათასი ცრუ-მორწმუნოება. აქეთ იშვიათად ნახავთ წერა-კითხვის მცოდნე გლეხს. ამისათვის არის, რომ ყველასაგან დაბრიყვებულია აქაური გლეხი. ყველა მას უჩაგრებს ბრალიანად თუ უბრალოდ, ყველას საწყალ ფურად გადაქცეულა და თავი ვეღარ აუღია მაღლა. უსწავლელობისავე ბრალია ერთმანეთის შური, მტრობა და გაუტანლობა. იმის მაგივრად, რომ საერთო საქმისთვის ერთად სწიონ ჭაპანი, პირ-იქით ერთი-მეორის დაღუპვას ცდილობენ. ვისაც კი ცოტა რამე აბადია და სიტყვა ეთქმის სოფელში ბატონად უხდება დანარჩენებს და მათ დაჩაგვრას ცდილობს.

როგორც საერთოდ ყველგან, აქეთკენაც ძალიან მოწადინებულია გლეხი მიწის შეძენას. ამისათვის არაფერს ერიდება, ყველაფერს გაჰყიდის ოღონდ კი მიახწიოს თავის საწადელს. მაგრამ ხშირად ერთი-მეორის ჯიბრზე მიწის ფასსა სწევენ, შემდეგ უფრო შეძლებულებს უვარდებათ ხელში და ღარიბები ისევ უმიწა-წყლოდ რჩებიან. ამისათვის მოვიყვან მაგალითს:

სოფ. დვანში იყიდებოდა წვრილმალა ტყე „საკვირიკე“ ახოებით თავადი ელიზბარ ფავლენიშვილისა, რომელიც შეეკითხა დვანელებს, სასოფლოდ იყიდეთ ყველასთვის სასარგებლო იქნება, ჯერ კი მოიწადინეს სასოფლოდ ყიდვა, მაგრამ ბოლოს აზრი შეიცვალეს და უარი სთქვეს, რადგან ხელი შეუშალეს გლეხის ახლად გამოჩეკილმა პატარა ბურჟუებმა პავლე კოპაძემ და ვანო მამაგულაშვილმა. ამ ვაჟ-ბატონებმა მიიამხანაგეს დვანის მახლობლად ჩამოსახლებული ოსები და იმათთან ერთად შეისყიდეს. იქამდის გათამამდნენ, რომ სამების ეკლესიის მოედანიც კი მოხნეს, სადაც სოფლის საქონელი სძოვდა ხოლმე, საუკუნოებით არ მოხნულა და სასოფლოდ ითვლებოდა აქამდის. წინად უფრო თავისუფლად სარგებლობდა სოფელი ამ წვრილმალა ტყით, ვიდრე ეხლა. არც საქონლის ძოვებას უშლიდა ვინმე. ეხლა კი სახრეს ვერავინ მოსჭრის ახალ ბატონების დაუკითხავად, თუმცა კი მოძრაობის დროს დიდი გულის შემატკივრები იყვნენ დაჩაგრულებისა. ამაზეა ნათქვამი ქართული ანდაზა: „მანსეთ, ხან ისე და ხან ასეო“. მაშინ ისე იყვნენ, ეხლა ასე არიან, დროს შესაფერად. მაგრამ ერთი დრო არავის შერჩება.

დვანელი.

დ. სურამი. სურამის ცხოვრება განსაკუთრებით ზაფხულობით იწყება; ზამთრობით იგი მიძინებულია, მიყრუებული. როგორც მოგეხსენებათ, სურამი ტფილისის გუბერნიაში ერთ მეუდრო და დაქანცულ-მილეულთა საუკეთესო თავშესაფარ აგარაკად ითვლება; მხოლოდ კარგი პატრონი არა ჰყავს, რომ ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს და სასურველ ხარისხამდე აიყვანოს; აქ, მაგალითად, მრავლად შეხვდება კარგი სამკურნალო წყლებსაც. (როგორც სურამში, აგრეთვე მის ახლო მდებარე სოფლებში); შიგ სურამში გამოდის რკინის წყალი, რომელიც სისხლ ნაკლულთათვის ექიმებისაგან საუკეთესო წამლად არის აღიარებული. ეს წყალი სხვა რომელიმე მდიდარ აგარაკში რომ იყვეს, დიდ სახელს მოიხვეჭდა, მაგრამ აქ იგი მივიწყებულია, მოუვლელი და ამით თავის უეჭველ ღირსებას ჰკარგავს; კარგი იქნებოდა, რომ ეს ადგილი, სადაც წყარო გამოდის, თვით საზოგადოებას შეეძინა და ეპატრონებინა მისთვის, რადგანაც მისი გაუკეთესება მთელ სურამის არის სასარგებლო ეხლა კი ეს ადგილიც და წყაროც კერძო პირმა შეიძინა.

ამ ცოტა ხანში გაიხსნება ადგილობრივი პარკი, სადაც ხუთ თიბათვიდან სამხედრო მუზიკა დაუკრავს. ეს პარკი აღებული აქვს იჯარით თ. ნოდიას, რომელმაც განიზრახა მისი მოვლა-გადაკეთება. წელს მოშალა შიგ სასეირნო ბაღში გაზხირული ბუფეტის შენობა და გადაიტანა იგი შიგ შუაგული მუხის ტყეში; განაახლა სხვა შენობებიც. ჩაყარა ბაღში ხეხილები, გაიყვანა პატარ-პატარა სასეირნო ხეივან-ბილიკები; მხოლოდ თეატრი კი ისევ ისე დარჩა. სასურველი იყო მისი გადაკეთებაც, რადგან მისი ძველი პირობებში დატოვება ყოვლად შეუძლებელია, მაგრამ ეს სამერმისოდ გადასდო.

როგორც მოხსენებათ, აქ არსებობს ქართული დრამატიული საზოგადოება, რომლის შესახებ ხშირად დაწერილა წერილები ჩვენ გაზეთში, სადაც აღნიშნული იყო ადგილობრივ ქართველ საზოგადოების გულ-გრილობა მისდამი; მაგრამ დრამატიული საზოგადოება მაინც თავისას არ იშლის და რაც ძალა და ღონე შესწევს დასახული მიზნისაკენ მიისწრაფვის. ამ ზაფხულს, როგორც შევიტყვეთ, დრ. საზ. გამგეობას გადაუწყვეტია რამდენიმე წარმოდგენა გამართოს სურამში და ერთიც ლიტერატურული გასამართლება. აზრადა აქვთ აგრეთვე ადგილობრივი დასით მოგზაურობა ახლო-მახლო სოფლებში წარმოდგენების გასამართავად. მოლაპარაკება აქვთ გამართული თეატრის შენობის მოიჯარადრე ნოდიასთან, ფიქრობენ თეატრი აიღონ ამ სამი თვით იჯარით. დარწმუნებულიც ვართ, რომ ბ. ნოდია სიამოვნებით შეხვდება დრამატიულ საზ — ის წინადადებას და თეატრის მართვა-გამგეობას ხსენებულ საზოგადოებას გადასცემს. ამით ერთი მხრით მთელი ადგილობრივი საზოგადოების გულს მოიგებს და სიმპატიას დაიმსახურებს, და მეორეს მხრით თავის საქმესაც გაუმჯობესებს; რადგან ამ შენობისაგან მას იმდენი არაფერი რჩება, რაც დრო ეკარგება.

ყურანი.

ტფ. გუბერნიის თავად აზნაურთა კრება

9 ივნისის სხდომა.

თავმჯდომარეობდა თავ. ბაგრატიონ-დავითიშვილი, გუბერნიის თ. აზნ. წინამძღოლი. წინა კრებამ ვერ მოასწრო ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა. გასანაწილებელი იყო 2000 მან., რომელიც საშუალო სასწავლებლებში სტიპენდიებისათვის ნავარაუდევ 4000 მანეთს გამოაკლდა და 4000 მან., რომელიც აღრიცხვაში შეტანილია, როგორც გადარჩენილი თანხა მოულოდნელ ხარჯების დასაფარავად.

გ. ა. ყარანგოზიშვილმა ითხოვა სიტყვა; წინა კრებაზე მომხდარ ინციდენტის გამოსარკვევად ბოდიში მოიხადა კრების წინაშე.

გ. დიასამიძემ ბოდიში მოიხადა. თავმჯდომარემ არ შეიწყნარა ყარანგოზიშვილის თხოვნა, დადგენილება ძალაში დარჩა.

კრება შეუდგა დარჩენილ ფულის განაწილებას. **დ. ჯორჯაძის** წინადადებით, მდივანმა წაიკითხა სია იმ საზოგადოებათა და კერძო პირთა, რომლებმაც მიმართეს თავად-აზნაურობას დახმარებისათვის. თხოულობენ: საყდრის განახლებისათვის (ს. მეტეხი, მცხეთა). უფრო ყურადღება მიიქცია. „განათლების“ საზოგადოებამ, წ. კ. საზოგადოების მუზეუმის ამგებმა კომისიამ, ფილარმონიულმა საზოგადოებამ და სხვა.

გ. რცხილაძემ „მოსავლის“ რედაქტორმა აუწყა საზოგადოებას სამეურნეო ჟურნალის „მოსავლის“ მიზანი, დღევანდელი გაჭირვება, სახსრის უქონლობა და ითხოვა დახმარების აღმოჩენა იმ ორგანოსთვის, რომელიც სამშობლო ენაზე სამეურნეო ცოდნას ავრცელებს ისეთ წრეებში კი, სადაც ჯერ გაზეთები არა ყოფილა გავრცელებული.

გ. დიასამიძემ. მოითხოვა, 4000 მანეთი დარჩეს გაუნაწილებლად მოსალოდნელ ხარჯების დასაფარავადო.

დ. ჯორჯაძემ. ამის წინააღმდეგი აზრი გამოსთქვა და განაცხადა, რომ სადაც აღრიცხვა შემოსავალ გასავლისა სწორეა შედგენილი იქ შეუძლებელია ფული დარჩესო. გავანაწილოთ ეს ფული, დავეხმაროთ საზოგადოებებს, რომელნიც სიმპატიურ მიზანს ემსახურებიან, „განათლების“ საზოგადოება ინახავს სკოლას. დავეხმაროთ ამ სკოლას, ნაწილი გადავცეთ ქართულ გიმნაზიას, დავეხმაროთ მეტად სასარგებლო ჟურნალ „მოსავალს“, წ. კ. საზოგადოების მუზეუმს უნდა აღუთქვათ დახმარება. შეიძლება ეხლა არ გვქონდეს, მაგრამ სამი ან ოთხი წლის განმავლობაში გადაუხადოთ დანაპირები ფული. უნდა შევწიროთ კი აუცილებლად.

მესხიშვილმა. მხარი დაუჭირა დ. ჯორჯაძეს—4000 მანეთი უნდა განაწილებულ იქმნასო.

თავ. პ. ი. თუმანიშვილმა განაცხადა, ფრთხილად მოეკიდეთ დარჩენილ თანხას, ამ დღეებში კახეთის რკინის გზის კონცესიის საქმე გადაწყდება, საქმის გასანაღდებლად მისვლა-მოსვლა დაგვჭირდება, შეიძლება საზღვარ-გარედ დაგვჭირდეს წასვლა და ფულია საჭირო.

საკითხს კენჭი უყარეს. 4000 მანეთი გაუნაწილებელი დარჩება.

ტერიაშვილმა წინადადება შეიტანა, გასანაწილებელი 2000 მანეთიდან წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას გადაეცეს სახალხო სკოლებისათვის, 1000 მანეთი ქართულ გიმნაზიას.

პ. ი. თუმანიშვილმა სურვილი გამოსთქვა, რომ 1000 მანეთი გადაეცეს ქართულ გიმნაზიის სასწავლო ნივთების შესაძენად. გამოწერილი გვაქვს ნივთები, ვალი გვმართებს და ასი თუმანი კარგ დახმარებას გაგვიწევსო.

მესხიშვილმა პასუხი გასცა თუმანიშვილს, უთხრა, უმჯობესია ეს ფული სახალხო სკოლებს მოხმარდეს. სულ ერთია, გიმნაზიას ეს დიდ სამსახურს ვერ გაუწევსო.

თულაშვილმაც მესხიშვილს დაუჭირა მხარი.

მ. რ. ზაალიშვილმა სთქვა, შეიძლება ქართულ გიმნაზიას არც კი დასჭირდეს ფული, მასწავლებლებისა და მოსამსახურეთა შესანახად გადადებულ თანხიდან შეიძლება 4000 მანეთიც გადაანარჩუნონ და ამ ფულით შეიძინონ სასწავლო ნივთები, რომლებიც მეტად საჭიროა გიმნაზიისათვისაო.

საკითხი ხმის უმრავლესობით სწყდება. 1000 მან. გადაეცემა წ. კ. გ. საზოგადოებას სახალხო სკოლებისათვის, 1000 მან. ქართულ გიმნაზიას. ამ რიგად ქართულ გიმნაზიას მიეცა სულ 76 ათასი მანეთი.

თავმჯდომარეს მოხსენდა დრამატიულ საზოგადოების გამგეობის შუამდგომლობა ნედოიმკების პატიების შესახებ. კრებამ დაადგინა ეპატიოს ნედოიმკები, 7 ათას მანეთზე მეტი.

ამის შემდეგ კრება შეუდგა სადგილ-მამულო კომისიის მოქმედების დაფასებას.

შ. მესხიშვილი შეეკითხა თავმჯდომარეს, სადგილ-მამულო კომისიის მოქმედების ანგარიშში მოხსენებულია, რომ რუსულ გაზეთ „ზაკავკაზიეს“ 1000 მანეთი მიეცა სესხად კომისიის თანხიდან, მაშინ, როდესაც კომისიის ბიუჯეტი მხოლოდ 6000 მანეთი იყო. რითი აიხსნება კომისიის ასეთი საქციელი.

თავმჯდომარემ პასუხი გასცა მესხიშვილს. ვრცლად განმარტა დეპუტატთა საკრებულოსა და გაზეთ „ზაკავკაზიეს“ ურთიერთობა. 1907 წელში თავად-აზნაურთა საგანგებო კრებამ განიხილა მიხ. მაჩაბლისა და გიორგი იოსების ძე ამირეჯიბის მოხსენება გაზეთის შესახებ. კრებამ სასურველადა სცნო, თავად-აზნაურობას ჰქონოდა გაზეთი, დაავალა დეპუტატთა საკრებულოს მოხსენება წარედგინა ამ საკითხის შესახებ. მეტად საჭირო იყო გაზეთის ქონა. ჩვენ გვიხდებოდა ბრძოლა სხვა და სხვა ელემენტებთან. ამას გარდა, ბევრი საკითხები გვქონდა გასარკვევი, მაგ., სადგილ-მამულო საკითხი. თავმჯდომარემ ნამესტნიკის მოხსენებიდან, რომელიც მეფეს წარედგინა, მოიყვანა ადგილი, რითაც ნათელ ჰყო, თუ რა გაჭირვებას განიცდიან ადგილობრივი მცხოვრებნი მიწის უქონლობის გამო და როგორ მხარს უქცევენ და უყურადღებოდა სტოვებენ მმართველნი ადგილობრივ მცხოვრებთა საჭიროებას. თავმჯდომარემ განაცხადა, თუ ოფიციალურადაც ადასტურებენ იმ აზრს, რომ ადგილობრივ გაჭირვებას მფარველი და მოსარჩლე არა ჰყავს, მაშ საჭირო იყო და არის ორგანო, რომელიც დაიცავდა მკვიდრთა ინტერესებს. გაზეთს დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენს დროში. საკითხს ისე კი ნუ დავსვამთ თუ რად მივეცით, ვიკითხოთ, იყო თუ არა საჭირო, მიგვეცა: დიაღ, საჭირო იყო. დეპუტატთა საკრებულოს ზაკავკაზიეს საშუალებით თვისი აზრები გაჰყავდა. (**Мы свои идеи проводили черезъ „Закавказье“**). სადგილ-მამულო საკითხის შესახებ იბეჭდებოდა წერილები ვინმე ან-ფარის ხელმოწერით; ამ წერილებმა დიდი სამსახური გაუწიეს ჩვენს საქმეს. დიდ გომარეთის შესახებ იყო წერილი, გერმანელ ახალშენებმა რომ მიისაკუთრეს მიწა—იმაზე. „ზაკავკაზიეს“ ნომერი ჩაუვარდა ხელში მთავრობას და საქმის ხელახლა განხილვას შეუდგენ. ეს საქმე ჯერაც არ გათავებულა.

ეგეც არ იყოს, როდესაც საზოგადოება არაფერს აკეთებდა, ხმას არ იღებდა და ამავე დროს ჩვენს საზოგადოებას ტალახში სვრიდენ, ჩვენ ღამეებს ვათენებდით აქ, ვფიქრობდით, ვთათბირობდით, თუ როგორ გაგვეცა პასუხი. გაზ. „ზაკავკაზიე“ იცავდა ჩვენი საზოგადოების ღირსებას (**газета „Закавказье“ отстаивала честь нашего общества**). გაზეთი სამსახურ გვიწევდა, ჩვენ არ შეგვეძლო, არ დაგვენახა ეს სამსახური ჩვენდამი და სამაგიერო არ გადაგვეხადა, როდესაც გაზეთი გასაჭირში იყო ჩავარდნილი. თქვენ არ გეგონოთ, რომ „ზაკავკაზიე“ დეპუტატთა საკრებულოს ინტერესებს იცავს, არა, გაზეთი საზოგადო ინტერესებ ემსახურება. თქვენ თითონ კითხულობთ გაზეთს და ალბად გეცოდინებათ, რასაც ემსახურება „ზაკავკაზიე“. ის ათავსებს ისეთ წერილებს, რომლებიც ამტკიცებენ და არკვევენ ჩვენს უმთავრეს საჭირბოროტო საკითხს—საადგილ-მამულო კითხვას. ამას ვხედავდით ჩვენ და არ შეგვეძლო დახმარების ხელი არ გაგვეწოდებინა.

ჯაბადარმა განაცხადა, მე არ წამიკითხავს ანფარის წერილები „ზაკავკაზიეში“, მაგრამ ქართულ გაზეთებიდან ბევრი რამ ვიცი: ამ გაზეთებში მეტი იბეჭდება სადგილ-მამულო საკითხზე, ვიდრე რუსულში. რა საჭიროა სუბსიდიების მიცემა. და სხვა.

თ. გ. ი. ამირეჯიბმა პროტესტი განაცხადა სიტყვა „სუბსიდიის“ შესახებ. სუბსიდია კი არა, სესხად მიეცა ფულიო.

მ. ვ. მაჩაბელი: „ზაკავკაზიეს“ 1000 მანეთი მიეცა სესხად, სადგილმამულო კომისიის თანხიდან.

საკვირველია, ამ საკითხზე არავინ არ ილაპარაკა. თავმჯდომარემ რომ შეეკითხა, ვისა გსურთ ლაპარაკიო, ყველა გაჩუმდა — სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ეჭვი არაა.-ყველამ თანაუგრძნო „ზაკავკაზიეს“ და ყველამ შეურყეველ ჭეშმარიტებად ჩასთვალა თავმჯდომარის სიტყვები, რომ „ზაკავკაზიე“ არკვევდა სადგილ-მამულო საკითხს და საზოგადოების ღირსებას იცავდა. სახელოვნად სდუმდა ეგრედ წოდებული „ოპოზიციაც“.

მ. ვ. მაჩაბელმა მეტად დიდ ხანს ილაპარაკა. შეეხო ყველაფერს, არა დასტოვა რა უყურადღებოდ—კოოპერაცია, სადგილ-მამულო კანონები, ხიზნების მდგომარეობა, „კახეთის“ საზოგადოება, პოლიტიკა და სახელმწიფო და სხვა. თითქმის საათ ნახევარს ილაპარაკა, მადლობა გადუხადა დეპ. საკრებულოს წინამძღოლებს, პ. ი. თუმანიშვილს, ნ. ა. თუმანიშვილს სადგლეხო ბანკის გამგეს და სხვ. ილაპარაკა „კახეთის“ საზოგადოების შესახებ, გზა და გზა პასუხი გასცა **ჯაბადარს**, რომელმაც განაცხადა, რომ სადგილ-მამულო კომისია უნდა სცდილობდეს სამეურნეო კულტურა ასწიოს და განავითაროს, მიწა საკმაო გვაქვს, მაგრამ მოვლა არ ვიცითო. სადგილ-მამულო კომისიამ სამსახურში ჩაითვალა წყნეთის მამულების შეძენა, მაშინ, როდესაც ეს მამული წყნეთის გლეხებმა კომისიის დახმარებით კი არა, ჩემს დახმარებით შეიძინესო და სხვა.

მ. ქ. ყიფიანს უნდოდა სადგილ-მამულო კომისიის შესახებ ელაპარაკნა. სიტყვა ქართულად დაიწყო. თავმჯდომარემ შეაჩერა და უთხრა: **აქ რუსულ გაზეთის რეპორტიორები არიან, რომელთაც ქართული არ იციან, გთხოვთ რუსულად ილაპარაკოთო.** მაგრამ ყიფიანმა შეურაცხყოფილად იცნო თავი, უარი სთქვა სიტყვაზე (თუმცა მიხ. ვ. მაჩაბელმა პირდაპირ გამოიწვია სალაპარაკოდ და აუცილებლად პასუხი უნდა გაეცა) და კრებიდანაც წავიდა.

ჯაბადარმაც კვლავ ილაპარაკა, შეეხო მიხ. ვახ. მაჩაბლის სიტყვას და სთქვა, მაჩაბელი არქიპოვთან მსახურობს, სახელმწიფო ქონებათა სამმართველოში მოხელედ არის და ფიქრობს, კომისიაში ნამდვილი საქმე კეთდებაო. ა. ყიფშიძე ცოცხალი კაცია, მაგრამ მოხელემ ამ ცოცხალ კაცსაც კანცელარიის ზნე გადასდო. აწერინებს და აწერინებ ქაღალდებს. ჯაბადარი კრიტიკას ქარცეცხლში ატარებს აღრიცხვას და წინადადებას იძლევა დაარსდეს ორგანო, რომელიც მთელი წლის განმავლობაში იმუშავებს და აღრიცხვას შეადგენსო.

ს. რ. ვახვახიშვილმა „კახეთის“ საზოგადოების შესახებ ილაპარაკა. თითქმის ლექცია წაიკითხა კოოპერაციის შესახებ. განმარტა, თუ რა მნიშვნელობა აქვს საზოგადოდ კოოპერაციას, როგორ ალმოცენდება ხოლმე კოოპერაცია—ჯერ მცირე ჯგუფში, შემდეგ ედება ახლო მახლო და მერე მთელს არე მარეს. ორატორის აზრით „კახეთის“ საქმეები გაუმჯობესდება.

თავ. სვ. ანდრონიკაშვილმა ის აზრი გამოსთქვა, რომ „კახეთის“ საქმე ვერ წავა კარგად, სანამდის ყველა კახეთის ფირმები სინდიკატს არ შეადგენენო.

ამავე აზრისა იყო **პ. ი. თუმანიშვილიც**, რომელიც ალმაცერად უცქერის „კახეთის“ საქმეებს და იმედი აქვს საქმის გაუმჯობესებისა, თუ შესდგება სინდიკატი.

თავ. ლ. ვაჩნაძემ „კახეთის“ საზოგადოებას ანგარიშები გააცნო საზოგადოების. ამ ანგარიშებიდან სჩანს, რომ საქმე კარგად მიდის.

უნდოდათ სხვებსაც ელაპარაკნათ ამ საგანზე, მაგრამ დ. ჯორჯაძემ წინადადება შეიტანა, კომერციულ დაწესებულების საქმეთა განხილვა ასეთ საჯარო კრებაზე—საზარალოა საზოგადოებებისათვის წინადადება მიღებულ იქმნა. მცირე კამათის შემდეგ კრებამ უარჰყო ერთი ჯგუფის მიერ შეტანილი წინადადება შესახებ სამეურნეო სარევიზიო კომისიის დაარსების. კრება 2½ საათზე დაიხურა.

უცხოეთი

პოლკოვნიკ ფონ-კოტენის მოკვლის განზრახვა.

შარშან მაისში პარიზში განიზრახეს მოსკოვის მაძებარ პოლიციის უფროსის პოლკოვნიკ ფონ-კოტენის მოკვლა. ამის შესახებ გაზეთი „ჟურნალი“ შემდეგ ცნობებს გადმოგვცემს: წარსული წლის მაისში ბოლიარის ქუჩაზე ერთ სასტუმროდან, სადაც რუსეთის ქვეშევრდომი რიპსი სცხოვრობდა, რაღაც ხმები მოისმა. მალე სასტუმროში გაჩნდა პოლიცია. პოლიციას რიპსმა განუცხადა, რომ მას უნდოდა მოსკოვის დამცველ პოლიციის უფროსის ფონ-კოტენის მოკვლა, რადგან მან წინადადება მომცა მისი აგენტი გავმხდარიყავ და მით შეურაცხყოფა მომაყენაო. რიპსის სიტყვით მან ასე გაიცნო ფონ-კოტენი: რიპსი სოც.-რევოლიუციონერების პარტიაში მუშაობდა. 1909 წ. იგი დააპატიმრეს მოსკოვში და დამცველ პოლიციაში გაგზავნეს. იგი გამოსაკითხავად მიიყვანეს იმავე პირთან, რომელმაც ჩვენება ჩამოართვა მას 1906 წელში შეპყრობის დროს, რის შემდეგ იგი ციმბირში გაიგზავნა. როგორც ბოლოს გამოირკვა, ეს იყო პოლკოვნიკი ფონ-კოტენი. ერთი შეხედვითვე იცნეს ორივემ ერთმანეთი. დამალვა აღარ გამოდგებოდა და რიპსი გამოტყდა, რომ იგი ციმბირიდან გამოიპარა. რიპსის შეკითხვაზე—რას უზამენ ეხლა მას—ფონ-კოტენმა მიუგო, რომ აქ დაიკავებენ სამ-ოთხ თვეს და მერე ისევ ციმბირში გაგზავნიან. რიპსმა და ფონ-კოტენმა ბაასი გააბეს, რასაც შედეგად ის მოჰყვა, რომ უკანასკნელმა პირველს წინადადება მისცა მის აგენტად გამხდარიყო, პროვოკაციის მოწყობაში დახმარებოდა, გაეცა ამხანაგები, რისთვისაც დიდ საჩუქარს მიიღებდა. ცოტა ფიქრის შემდეგ რიპსმა თანხმობა განაცხადა. რიპსის სიტყვით, მას უნდოდა ამით მაძებარ პოლიციას დაახლოვებოდა, გაეგო მისი საიდუმლოებანი, შეეტყო ვინ იყო მის აგენტებად, რომელნიც ამასთანავე პოლიტიკურ პარტიებში მუშაობდნენ და სხვ., რათა მერმე მათი ჯავრი ეყარა. ჰქონია ბაასი აზეფზედაც. რამდენიმე ხნის შემდეგ რიპსი ფონ-კოტენს პარიზში გაუგზავნია ერთ პოლიციის აგენტთან, ვინმე ალექსანდროვთან, რომელიც სცხოვრობდა გრენელის ქუჩაზე № 79 სახლში. რიპსმასთან საქმე უნდა დაეჭირა და ერთად ემოქმედნათ. რიპსმა აქ ყველაფერი თავის ამხანაგებს შეატყობინა. იმ წლის მაისშივე მან ჩაიტყუა პარიზში პოლკოვნიკი ფონ-კოტენი და მოკვლა განიზრახა, მაგრამ თავის განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანა. როგორც მკითხველს დეპეშებიდანაც ახსოვს ამ დღეებში პარიზში ეს საქმე გაარჩია ნაფიცთა სასამართლომ, რომელმაც რიპსი უდანაშაულოდ იცნო და გაამართლა.

ფონ-კოტენის მოკვლის განმზრახველი რიპსი შემდეგს გადმოგვცემს თავის თავზე: მე აღვიზარდე მდიდარ ოჯახში. მამის ავადმყოფობამ იძულებულ მყო სასოფლო მეურნეობისათვის მომეკიდა ხელი და მით მისი საქმე განმეგრძო. აი სწორედ აქ დავინახე, როგორა სტანჯავდა, რა უსამართლოდ ექცეოდა პოლიცია გლეხებს და ებრაელებს. ჩემი სინდისი მალე წინ აღუდგა ამას და მე 1899 წელს დავიწყე თვალყურის დევნა და შესწავლა ყველა იმისა, რაც ჩემ დაჩაგრულ სამშობლოში ხდებოდა. სწორედ ამ დროს დაიწყო მოძრაობა უნივერსიტეტში; დავინახე, როგორი სიმკაცრით ექცეოდა პოლიცია სტუდენტებს. ზედვე დაერთო 1901 წლის აგრარული მოძრაობა. მე ამ მოძრაობაში მონაწილეობას ვიღებდი. აქ გავარკვიე მე ცხოვრების გზა. მე ვადარებდი ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ წეს-წყობილებას სხვა სახელმწიფოების წეს-წყობილებასთან და რამდენიც უფრო ვუკვირდებოდი, იმდენად ვიყვარებდი საფრანგეთს და იქ გამეფებულ თავისუფლებისაკენ ვისწრაფოდი. მაგრამ მე მაინც ჯერ

არ ყოფილა რევოლუციონერი. რევოლუციონერად ნელ-ნელა გავხდი. რამდენიც უფრო მეტს უსამართლობას ვხედავდი მთავრობის მხარეზე, იმდენად რევოლუციონური სული ჩემში უფრო და უფრო მტკიცდებოდა. რევოლუციონურ ორგანიზაციაში მშობლების სიკვდილის შემდეგ შევედი. მე ვიყავი მოწმე ოდესის აწიოკებისა, აგრეთვე პეტერბურგის 1905 წ. მღელვარებისა და უკვე ამის შემდეგ გადავწყვიტე გავმხდარიყავ რევოლუციონერი და დესპოტიზმთან მებრძოლი. შემდეგ რამსი უამბობს ნაფიც მოსამართლეთ რუსეთში როგორ სტანჯავენ, რანაირ საშუალებებს ხმარობენ ჟანდარმები გამოკითხვის დროს.

ქუთ. სააღგილ-მამულო ბანკის რწმუნებულთა კრება

6 ივნისს.

თავმჯდომარე, რომელიც კრებას ცოტა გვიან ხსნის, წინადადებას აძლევს კრებას, მოისმინოს მოხსენება მოგების განაწილების შესახებ.

ს. ლ. ბახტაძე: ბანკზე დარჩენილ მამულების მართვა-გამგეობა მოვაწყეთ, მაგრამ არაფერი გვითქვამს იმაზე, თუ რა ვუყოთ ამ მამულებს. ჩემის აზრით, ჩვენ ნამდვილათ წარმოდგენა არა გვაქვს ამ მამულებზე, იქნება უკეთესი იყოს. განსაკუთრებული კომისიის არჩევა, რომელიც ამ მამულებს დაათვალიერებს, შეისწავლის მათ მდგომარეობას და შემდეგ კრებაზე მოხსენებას წარმოგვიდგენს.

ნ. თაყაიშვილი. რაც გურიაში დარჩენილია მამულები, უმეტეს შემთხვევაში გაუმიჯნავია — იმის გამიჯვნას ბანკის წარმომადგენელი ესწრება; მამულები იმ მდგომარეობაში აღარ არის, როგორც დაგირავებისას იყო. ზოგი კერძოდ გაიყიდა, ზოგი გამიჯვნის დროს მიითვისეს; ეს გარემოება ყურადღების ღირსია.

ბარ. მოსეშვილი. სიამოვნებით უნდა აღვნიშნო, რომ ბანკზე დარჩენილ მამულები უკეთეს მდგომარეობაშია, ვიდრე წინად იყო; შეუდგენიათ სია დარჩენილ მამულებისა; ამას გარდა, უკანასკნელ ხანებში დაგირავებული მამულები ბანკს აღარ არჩება, გარდა ბაიანდუროვის მამულისა რომელიც ერთის წლის შემდეგ ბანკს დარჩა. ყოველივე ეს უთუოდ ჩვენმა წინანდელმა შენიშვნებმა გამოიწვია. ამასთან ერთად ბ-მა მოსეშვილმა აღნიშნა მრავალი დეფექტი დარჩენილ მამულების მოვლასა და გაყიდვაში და მოითხოვა მათი თავიდან აცილება.

ი. მ. ფალავა. ბაიანდუროვის მამული, რომელიც ბ-მა მოსეშვილმა მოიხსენია, დაგირავებულია 4 წლის წინად და არა ერთის წლის წინად, ამიტომ მისი საყვედური უსაფუძვლოა.

გამგეობისა და ზედამხედველი კომიტეტის მოხსენება მოგების განაწილების შესახებ ასეთია:

ქართულ გიმნაზიას — —	33.350	მ.
სენაკის სკოლას — — —	2.558	„
სამეურნეო სკოლას — —	750	„
თ.-აზნაურ. წინამძღოლს —	1500	„
წმ. ნინოს სასწავლებელს —	420	„
ქართული გიმნაზ. სახლ. ქირა	1532-11	
ს უ ლ	40.090-11	

და რადგან წარსულ წლის მოგება შეადგენს 30.834—57 ამიტომ ზედმეტი ხარჯი 9255 მ. 54 კ. კრებამ შესაძლებლათ სცნო შემდეგი წლის მოგებიდგან შეავსოს.

თ-დი დ. ნიჟარაძე: ზედამხედველმა კომიტეტმა ფინანსთა მინისტრისაგან მიიღო წინადადება, რომ მიმდინარე წლის მოგებიდგან ავანსები აღარ გაიცეს საერთო საჭიროებაზედ და, სხვათა შორის, ქართული გიმნაზიის შესანახავათ. ეს გარემოება დიდათ საყურადღებოა; თუ ავანსი ვერ გავეცით, ჩვენი გიმნაზია უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდება, და ამიტომ ჩვენ რაიმე უნდა ვიღონოთ, რომ განსაცდელში არ ჩავარდეს დაწესებულება, რომლის მნიშვნელობაზე ლაპარაკი ზედ-მეტად მიმაჩნია. კარგს ვიზამთ, თუ შუამდგომლობას აღვძრავთ, ვისაც ჯერ არს, რომ ქართულ გიმნაზიისთვის ავანსების აღების ნება მოგვცენ.

თ-დ ერ. გელოვანი. ჩვენ გიმნაზიას თ.-აზნაურობის სახელი აქვს, მაგრამ მან სახალხო ხასიათი მიიღო, რადგანაც თავად-აზნაურთა შვილების გარდა, აქ სწავლობს კარგა დიდი რიცხვი გლეხთა, ვაჭართა და სასულიერო პირთა შვილებისა. ასეთ სასწავლებელს დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ერთი წოდებისათვის, არამედ მთელი ერისთვის, და ჩვენ ზნეობრივად ვალდებული ვართ დავიცვათ იგი ყოველ გვარ განსაცდელიდგან; ამიტომ მე საჭიროთ მიმაჩნია, რომ შესაფერი შუამდგომლობა აღიძრას.

დეკ. კვირკელია მიემხრო ამ აზრს და შუამდგომლობის წარსადგენად დაასახელა დეპუტაცია, რომელშიაც შედიან: სახელმწიფო სათათბიროს წევრი თ-დი შარვაშიძე, სახელმწიფო საბჭოს წევრი თ—დი ერისთავი და გ. ღენერალი ივ. ნაკაშიძე. კრება ეთანხმება დ. კვირკელიას. ამის შემდეგ კრება შეუდგება ხარჯთ-აღრიცხვის განხილვას.

ზედამხედველი კომიტეტისა და გამგეობის მიერ წარმოდგენილი ხარჯთ-აღრიცხვები განსხვავდებიან როგორც ერთმანეთში, ისე წარსული წლის ხარჯთ-აღრიცხვისაგან. შარშანდელი ხარჯთ-აღრიცხვა უდრის 62984 მ., გამგეობისა—63784 მ. და ზედამხედველი კომიტეტისა—66484 მ.

ამის შესახებ წარმოითქვა რამდენიმე ცხარე სიტყვა. ორატორების უმეტესი ნაწილი მოიწოდებდა კრებას ეკონომიისადმი, კრებამაც მხარი დაუჭირა, შარშანდელი ხარჯთ-აღრიცხვა კრებამ მიიღო 112 ხმით წინააღმდეგ 15 ხმისა. გამგეობის თავმჯდომარისთვის განზრახული იყო ზედამხედველი კომიტეტის მიერ 4000 მ. წლიური ჯამაგირი, ხოლო კრებიდგან უნიშნავდნენ 3000 მ. კენჭის ყრით 136 ხმიდგან 4000 მანეთიდან ჯამაგირს ამოუვიდა 24 თეთრი კენჭი და 3000—105 კენჭი და ამ ნაირად გამგეობის თავმჯდომარეს წლიურად დაენიშნა 3000 მანეთი.

კრება მეორე დღემდის გადაიდო.

7 ივნისის კრება.

კრება მრავალ-რიცხოვანია. კენჭის ყრა მოახლოვებულია; ყველა ჩქარობს—ზოგს არჩევნების შედეგი აინტერესებს, ზოგს შინ წასვლა ეჩქარება,—მაგრამ განსახილველი საგანი ბევრი აღმოჩნდა და კენჭის ყრა გვიანდება.

პირველად თავი წამოჰყო მოსამსახურეთა საპენსიო კასის საკითხმა, რომლის შესახებ ზედამხედველი კომიტეტის წევრმა თ—მა სოლ. მიქელაძემ კრებას აცნობა შემდეგი: კრების მინდობილებით ზედამხედველმა კომიტეტმა წარადგინა მოხსენება ფინანსთა მინისტრთან მოსამსახურეთა საპენსიო კასის შესახებ; პასუხად მოწერილობა მოვიდა, რომ წესდების შეცვლა შეიძლება კასის მონაწილეთა თანხმობით. ჩვენ კასის მონაწილეთ შევეკითხეთ, მაგრამ გაურკვეველი პასუხი მივიღეთ, აშკარადა სჩანს, რომ კასის მონაწილენი არ დასთანხმდებიან წესდების შეცვლას; ამიტომ კრების გადაწყვეტილებას დიდი მნიშვნელობა აქვს.

ნ. თავდგირიძე გრძელ სიტყვაში ამტკიცებს, რომ ბანკი ვერ აუვა მოსამსახურეთა პენსიით დაკმაყოფილებას და კრებას ურჩევს დაზღვევით წესზე გადავიდეს; მანამდის კი თხოულობს არსებული წესების მოქმედების შეჩერებას, რადგანაც იგი ბანკის მაზარალებლად მიაჩნია.

ი. ფანცხავა: საქმე ჯერ კიდევ წარმოებაშია, და ვიდრე არ გავათავებთ, შეუძლებელია სხვა გზა ავირჩიოთ სამოქმედოდ.

კ. ბაქრაძე: ჩემის ფიქრით მოსამსახურეებს კეთილ-გონიერებამ უნდა უკარნახოს თანხმობის განცხადება წესების შეცვლაზე. თუ ეს არ ინდომეს, მაშინ სხვა გზას უნდა დავადგეთ.

ახ. ბაქრაძე: არსებულ წესების შეუსრულებლობა, ვიდრე იგი შეცვლილი არ არის, მოუხერხებელია, ხოლო თუ მოსამსახურეები არ დასთანხმდნენ წესდების შეცვლაზე, მაშინ ჩვენ შეგვიძლია ჯამაგირების შემცირება.

სერ. ბახტაძე. არას დროს გამგეობას არ გამოუჩენია ისეთი არა-ჩვეულებრივი და მედგარი ენერგია როგორც საპენსიო წესდების დამტკიცებაში. მინისტრმა კოკოვცევმა უარი სთქვა წესდების დამტკიცებაზე, მაგრამ გამგეობა არ მოეშვა და დაამტკიცებინა. ქვეყანაზე არ არსებობს ისეთი კასა, რომ ვადით არჩეულ კაცებს პენსია ეძლეოდეს, მაგრამ ჩვენმა ჩვეულებრივად დუნე გამგეობამ აქაც სძლია სიძნელე. ეს არ იკმარეს და ამ წესდებით მოიპოვეს უფლება სამსახურის დროს ნახევარ პენსიის მიღებისა. ერთი სიტყვით, რა მხრითაც უნდა შეხედოთ ამ საქმეს, ჩვენმა მოსამსახურეებმა არაფერი დაზოგეს ჩვენი დაწესებულების გასაძარცვავად.

კრება ერთ-ხმად ანდობს წესდების შეცვლაზე ზრუნვას გამგეობას და ზედამხედველ კომიტეტს.

ზედამხედველი კომიტეტის წინადადებით კრებას სცვლის წესდების § 101 იმ მხრით, რომ მოგებიდან გაიღოს 2½% ქართულ გიმნაზიის მასწავლებელთა საპენსიო თანხის შესადგენად.

შემდეგ ამისა კრებამ მიიღო შემდეგი გადაწყვეტილებანი:

ა) ზედამხედველმა კომიტეტმა იშუამდგომლოს, რომ გამგეობას მიეცეს უფლება ნედოიმკების 5 წლით განაწილებისა ისე, როგორც ეს უფლება ჰქონდა მინიჭებულ მთავრობის მიერ დანიშნულ თავმჯდომარეს გამგეობისას.

ბ) გაფართოვდეს სესხის გაცემის რაიონი.

გ) ზედამხედველი კომიტეტის განკარგულებაში გადაიდო 2000 მანეთი სხვა და სხვა საზოგადო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლათ. ამ ფულიდან 300 მანეთი გაიგზავნოს ილია ჭავჭავაძის ძეგლის ასაგებად და 300—გაეგზავნოს დიმიტრი ყიფიანის შვილს ბარბარე ყიფიანს, რომელიც ბელგიაში სწავლობს. კერძო თხოვნები კრებამ არ შეიწყნარა.

ამის შემდეგ კრება დროებით შესწყდა და განახლების შემდეგ ქართული გიმნაზიის გამგემ ი. ი. ოცხელმა სთქვა შემდეგი:

„უკანასკნელ 3 წლის განმავლობაში ქართული გიმნაზიისა და სენაკის სკოლის მდგომარეობა მეტად გაძნელდა. ამ მხრით გამგეობა არა ჩვეულებრივ სისასტიკეს იჩენდა და სასწავლებლისთვის შესანახი ფულის მოცემას გვიძნელებდა. მანამდის ჩვენ ყოველ წლიურად გვეძლეოდა 30—40 ათასი მანეთი, საჭიროების დაგვარად, უკანასკნელ წლებში ხვეწნითა და მუდარით ვღებულობდით ფულს. ჩვენ იძულებული შევიქენით სწავლის გადასახადი 50 მანეთამდის აგვეყვანა, რამაც მეტად შეავიწროა მოსწავლეთა მშობლები.

ამ ნაირივე საქმე დაემართა ჩვენს საპენსიო კასას. როცა ბანკის მოსამსახურეთა წესდება იგზავნებოდა პეტერბურგში, ჩვენ გვეუბნოვოდნენ, ჯერ ერთი დავამტკიცებინოთ და მერე მეორეო. როცა ერთი დამტკიცდა, ჩვენი წესდების გაგზავნა ჯერ დაგვიანდა და მერე, როცა მინისტრი შეეკითხა გამგეობას ბანკის მდგომარეობის შესახებ, მთელმა ორმა წელიწადმა განვლო ისე, რომ პასუხი არ გაგზავნილა და საქმე იმით დამთავრდა, რომ თვით მინისტრმა სცნო ბანკის საქმეთა მდგომარეობა არა სასურველად და წესდების დამტკიცებაზე უარი განაცხადა. ასე მტრულად ეკიდებოდა გამგეობა ჩვენს დაწესებულებას. არ ვიცით, იქნება ისინი ბანკის კეთილ დღეობაზე ფიქრობდენ, როცა ასე გვავიწროვებდენ, მაგრამ საქმის ვითარება ასეთია. მე არც ეხლა ვიტყოდი რასმე, რომ კრებას უყურადღებოდ არ დაეტოვებინა გუშინდელი ჩემი განცხადება, რომ ჩვენსა და სენაკის სასწავლებელს მიმდინარე წლის განმავლობაში 8000 მ. სჭირია. ამ საგანზე კრებამ რაიმე გადაწყვეტილება უნდა მიიღოს.

კრება ეთანხმება ბ-ნ ოცხელს და ამ ხარჯის დასაკმაყოფილებლად ავალებს გამგეობასა და ზედამხედველ კომიტეტს მისცეს ფული იმ თანხიდგან, რომელიც თავად-აზნაურობამ უნდა დაუბრუნდეს იმ პირობით, რომ შემდეგი წლის მოგებიდგან შეივსოს იგი.

გ. კ. ერემიევს, რომელიც გამგეობის თავმჯდომარის არჩევის შემდეგ ბანკში სამსახურს თავს ანებებს, თ—მა სვიმონ წერეთელმა სიტყვით მიმართა-მადლობა გადაუხადა გულწრფელი სამსახურისათვის. საპასუხო სიტყვაში ბ-მა ერემიევმა განაცხადა, რომ იგი, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ზრუნავდა დაწესებულებისათვის არა მარტო ბანკის კეთილდღეობისათვის, არამედ მისთვისაც, რომ ეზრუნველყო ქართული გიმნაზია, რომლის არსებობა მჭიდროდ არის დაკავშირებული ბანკთან, საზოგადოება ტაშის ცემით შეხვდა როგორც თ—დი წერეთლის სიტყვას, ისე ერემიევისას.

მადლობისავე სიტყვით მიმართეს კრებას ახლად არჩეულ კაცებმა თ-მა ფალავამ და თ-მა მიქელაძემ, რომელთაც აღუთქვეს კრებას დაუღალავ და გულწრფელი სამსახური ბანკის საკეთილდღეოდ.

ამით დასრულდა კრება, რომლის შედეგის დაფასებას მერე განვიხილავთ როდისმე და ეხლა-ვიკმაროთ.

თეატრი და ხელოვნება

პეტერბურგში 13 მაისს რაპგოფის კურსებზე გაუმართავთ პიანისტთა გამოცდა. ამ გამოცდაზე თავი უსახელებია ჩვენს თანამემამულე ქალს თამარა შიუკაშვილს, რომლის შესახებაც გაზ. „ბირჟ. ვედ.“-ში ამნაირი რეცენზიაა დაბეჭდილი:

„ჩვენ პიანისტ-ქალთა მომეტებულ ნაწილის ნაკლულევანებას შეადგენს სტილის უქონლობა. დაკვრაში ისინი ჩქარობენ, არ უყვართ პაუზების დაცვა, ხმებს ვერ აძლევენ გრადაციებს, მაშინაც კი, როდესაც მათ არ აკლიათ არც ტეხნიკა, არც სამუსიკო ნიჭი.

და აი, ჩვენ შევნიშნეთ ნამდვილი სტილი მოსწავლე ქალის შიუკაშვილის (თამარა) დაკვრაში, რომელმაც დაუკრა ბახის „Хроматическая фантазія“ და ჩაიკოვსკის „Думка“. დარბაისლურ სკოლას ბატ. ე. რაპგოფისას, რომელიც ამავე სკოლის პროფესსორია, ძალიან ჩქარა უჩენია თავი: როგორც ამბობენ, სულ ერთი წელიწადია, რაც ეს ქალი მასთან მეცადინეობს, მაგრამ შედეგები თვალწინაა. მან განცვიფრებაში მოიყვანა ყველანი თავის ჩქარ-მოძრავი და შემუშავებულის ტეხნიკით, უფრო მეტად კი ჩაფიქრებულის, რაღაც ნაზი პოეზიის ინტერპრეტაციით.

ცხადია, რომ არსებობენ არა მარტო ტურგენევისებური ქალები, არამედ ტურგენევისებური სამუსიკო მანერაც. აი ამ მანერის ხელ-ჩაკიდებას ცდილობს ეს ახლად მოვლენილი მემუსიკე ქალი (Музыкальная неофитка“) რომლის წინაშე ფართოდ გაიშლება მშვენიერი მერმისი, თუ იგი დაჟინებით განაგრძობს მეცადინეობას.

„Думка“-ში ის მცოდნე ხელით ახასიათებდა ჰანგებს, იცავდა პაუზებს, აძლიერებდა და ანაზებდა ხმებს, ერთის სიტყვით, უკრავდა არა ისე, როგორც „ბარიშნია“, არამედ როგორც მხატვარი. მე ამით არ მინდა ვსთქვა, რომ ჩვენ წინ ყოფილიყოს მხოლოდ ღირსებათა განხორციელება (ნაკლულევანებაც აქვს!), მაგრამ ნიჭიერება კი თვალ-წინ გვაქვს...

—

სახალხო უნივერსიტეტი ქუთაისში კვირას, 30 მაისს, სახალხო უნივერსიტეტში, როგორც გამოცხადებული იყო აფიშებში, უნდა წაეკითხა ლექციები სამ ლექტორს: 1) „კუჭის გიგიენიდან“ ექ. ვას. წერეთელს. 2) „მგოსანი გრ. ორბელიანი“ კიტა აბაშიძეს 3) „სიმდიდრე და მისი ეკონომიური მოძღვრება“ გრ. გიორგაძეს. პირველმა ლექტორმა აუხსნა მსმენელ საზოგადოებას, როგორი მოვლა უნდა კუჭს, რა იცვლება და რა არა კუჭში როდის მოქმედობს უფრო კუჭის წვენი და სხვა.... მის შემდეგ საზოგადოება მოელოდა კიტა აბაშიძის ლექციას, მაგრამ ის აღარ სჩანდა და სცენაზედ დავინახეთ ექ. გრ. ნასარიძე, რომელმაც ილაპარაკა „ჰაერის მტვერის და ადამიანის ორგანიზმზედ იმის გავლენის შესახებ“. მესამე ლექცია აღარ წაკითხულა, რადგან არც გრ. გიორგაძე სჩანდა- უნდა ვსთქვა, რომ საზოგადოებას არ ესიამოვნა ასეთი შემთხვევები. არ შემიძლიან არ მივაქციო მკითხველის ყურადღება შემდეგ ნაკლულევანებას: თეატრში მეტად ბნელა, რის გამო მსმენელი ვერ ხედავს ლექტორების მიერ დაფაზედ დაწერილს რაიმე ახსნას და ხშირად ვერც ლექტორსაც. ხშირად თეატრის ტალანში (კარიდორში) გამოდიან ისინი, ვისაც არ აინტერესებთ რომელიმე ლექციის მოსმენა და აბამენ მუსაიფს, რითაც უშლიან საზოგადოებას ლექციის კარგად მოსმენას. საჭიროა ამ გარემოებას მიექცეს ყურადღება **ლადო ბზვანელი.**

რუსეთი

◆ ახალი კანონპროექტი. სხვა და სხვა ფრაქციების 166 დეპუტატმა სათათბიროში შეიტანა ახალი კანონპროექტი, რომლითაც მოითხოვენ ებრაელებს მიეცეთ თავისუფლად ცხოვრების ნება რუსეთის ყველა ქალაქებში, პირველად ხელი უწერია დეპუტატ კარაულოვს, შემდეგ ოქტომბრისტებს: ხომიაკოვს, კლიმენკოს, ისკრიცკის, კამენსკის, მეინდორფს და სხვ.

◆ გუჩკოვი თავმჯდომარეობის თავს ანებებს. როგორც ხმები დადის გუჩკოვი შემოდგომისთვის თავს დაანებებს თავმჯდომარეობას და ისევ ოქტომბრისტების ფრაქციას ჩაუდგება სათავეში, რადგან მისა დაქუცმაცება მოელისო. თავმჯდომარეობა ნაციონალისტების ფრაქციის ხელში გადავა. კანდიდატად თავმჯდომარის ალაგზე ვოლკონსკის ასახელებენ.

◆ დეპუტატ კარავაევის მკვლელები. ეხლახანს მეორე სათათბიროს მოკლულ დეპუტატ კარავაევის შვილებმა მთავრობას განცხადება წარუდგინეს, რომელშიაც ასახელებენ მკვლელებს და მოითხოვენ მათ დასჯას. მათი ჩვენებით კარავაევი ჭეშმარიტ რუსთა კავშირის მებრძოლ რაზმის წევრებს მოუკლავთ.

◆ დასავლეთ გუბერნიების ერობა. 2 ივნისს მოხდა სხდომა სახელმწიფო საბჭოს განსაკუთრებული კომისიისა, რომელიც დასავლეთ გუბერნიებში ერობის შემოღების შესახებ კანონპროექტს იხილავს. ხმის უმრავლესობით კომისიამ დაადგინა არჩევნებში მონაწილეობისათვის დააწესოს სრული ქონებრივი ცენზი სათათბიროს წინააღმდეგ, რომელმაც ეს ცენზი გაანახევრა. სათათბიროს რედაქციის დასაცველად მ. კოვალევსკიმ გრძელი სიტყვა წარმოსთქვა, მაგრამ მან უმრავლესობის გადაწყვეტილებაზე გავლენა ვერ იქონია. უარყვეს აგრეთვე კოვალევსკის შესწორება ებრაელებს სრული უფლება მიენიჭოთ არჩევნებში მონაწილეობისათვისო.

◆ დედას შვილები წაართვეს. ოდესელი ებრაელი გერშტეინი ხულიგანების თარეშობის დროს სულით ხორცამდე გადატაკებული და ნახევრად ჭკუიდან შემცდარი ცოლშვილით გადასახლდა კიევში. აქ იგი მალე გარდაიცვალა. პოლიციამ მისი ცოლი ეტაპით ისევ ოდესაში გაგზავნა, რადგან კიევში ცხოვრების ნებართვა არა ქონდა, ხოლო მისი სამი წლის ქალი და ოთხი წლის ვაჟი უპატრონოთა თავშესაფერში მისცა, ხოლო მერრე მონათლა და ერთ სოფელში გაგზავნა. ბევრი ტანჯვა წვალების შემდეგ დედამ იპოვა შვილები. ეხლა იგი სცდილობს როგორმე ისევ „გამონათლოს“ ისინი.

◆ ნაციონალისტ გლებ ამოსენკოს ფრაქციიდან გამოსვლა. სათათბიროს ნაციონალისტების ფრაქციის წევრმა გლებმა ამოსენკომ ფრაქციას თავი მიანება. მიზეზად იმას ასახელებს, რომ არც ერთ კომისიაში არ მოყვა იგი, რადგან ნაციონალისტები მუდამ იმისთანეებს ირჩევენ კომისიებში, რომელნიც გლეხების წინააღმდეგ ლაპარაკობენო.

◆ სლავიანთა კრების პროგრამა. როგორც რუსული გაზეთები იტყობინებიან სლავიანთა კრებაზე პირველ რიგზე განსახილველად წამოყენებულ იქნება სამხრეთ-სლავიანურ სახელმწიფოების დღევანდელ მდგომარეობის საკითხი. მე-2 მუხლში აღნიშნულია სლავიანთა კულტურულ ნიადაგზე ურთიერთობის შესახებ საკითხები. ამ საკითხებში შედიან სხვათა შორის სლავიანების მცოდნე მეცნიერთა საერთო ორგანიზაციის შესახებ, მეცნიერ სლავიანთა ადგილობრივ და საერთაშორისო კრებებში მონაწილეობის, სლავიანთა უმაღლეს და საშუალო სასწავლებლების დამოკიდებულების, წიგნის ვაჭრობის ორგანიზაციის, სლავიანურ ლიტერატურულ და მეცნიერულ ჟურნალის გამოცემის, მეცნიერების სხვა დარგების სპეციალურ ჟურნალების გამოცემის, სლავიანურ ქრესტომატიის შედგენის, სლავიანთა ჟურნალისტებისთვის კურსების მოწყობის და სხვათა შესახებ. ამას გარდა კრება ეკონომიურ საკითხებსაც განიხილავს. როგორც მაგ. სლავიანურ ბანკის დაარსების, სლავიანურ გამოფენის გამართვის შესახებ და სხვა.

წერილი რედ. მიმართ

ყარსში გამართულ საღამო შემოსავალი ხუთი თუმანი, საიუბილეო კომიტეტის მიერ ჩემდა გადმოსაცემათ გამოგზავნილი, ჩავიბარე და დიდ მადლობას ვწირავ, როგორც საღამოს გამგე მარიამ ლუარსაბის ასულ კიკნაძისას, აგრეთვე ყარსის საზოგადოებას, რომელმაც მცა პატივი და დაესწრო ჩემი იუბილეს აღსანიშნავად გამართულ საღამოს.

ნ. მ. გაბუნია-ცაგარლისა.

—

ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ, თქვენი პატივს-ცემული გაზეთის საშვალებით გამომაცხადებინოთ შემდეგი: ამ ერთი კვირის წინად, როცა ქუთაისში ჩემს ხელნაწერებს ვათვალიერებდი, აღმოჩნდა, რომ ჩემი ლექცია ოსკარ უაილდის შესახებ სადღაც გამქრალა. მივსწერე ტფილისში-მოეძებნათ ჩემს წიგნებში და ხელნაწერებში, მაგრამ არც იქ აღმოჩნდა. მნახველს ვთხოვ ყველაფერი „სახალხო გაზეთის“ საშუალებით შემატყობინოს.

გრიგოლ რობაქიძე.

P. S. ვთხოვ „ჩვენი გაზეთის“ „ერის“ და „ზაკავკაზიეს“ რედაქციებს გადაბეჭდონ ეს წერილი. გ. რ.

—

23-ს მაის „განათლების“ საზოგადოების [illegible] სკოლის სასარგებლოთ მუშტაიდის [illegible] გამართულ სეირნობიდან შემოვიდა: შესავლელი ბილეთებისა 380 მ 50 კ. ბაზრიდან 15 მ. 30 კ. სხვა და სხვა გასართობებიდან და ბუფეტიდან 422 მ. 46 კ. შემოსწირეს კნ. ვ. ა. ჭავჭავაძისამ 10 მ. დ. ვ. გაბაევისაგან 10 მ. და სხვებისაგან 27 მ. 75 კ. ბ. გორგიჯანოვისაგან 50 მ. სულ 1053 მ. 1 კ. ხარჯი: ბაღის ქირა 210 მ. ნივთების ყიდვა 38 მ. 13 კ. ბილეთების დაბეჭვდა, გაზეთების განცხადება, აფიშების გაკვრა და დაბეჭვდა 30 მ. 36 კ. პროჟექტორი, მარკები და სხვა 9 მ. 54 კ. მუსიკა და საზანდარი 45 მ. პურქლის ქირა, ბაღის გამართვა, ბარგის გადატანა და სხვა წვრილმანი 38 მ. 58 კ. სულ 421 მ. 60 კ, წმინდა შემოსავალი დარჩა 631 მ. 41კ.

„განათლების“ საზოგადოების გამგეობის სახელით მადლობას ვწირავ ბ გორგიჯანოვს. საზოგადოებებს: „კახეთს“ „საეროს“ „ძმობას“ კვეზერელი-კოპაძეს, ლაღიძეს ფარსადანოვს, დ. ზ. სარაჯიშვილს, ელექტრონის სადგურის პატრონს აფამოვს, რედაქციებს: „სახალხო გაზეთის“, „ჩვენ გაზეთის“ და ყველას ვინც ხელი შეუწყო ამ კეთილ საქმეს.

სეირნობის გამმართველი **კნ. ნ. პ. ბარათაშვილისა.**

განცხადებანი

ლაგოდეხში იყიდება ორი სახლი: ერთი მშვენივრად მორთული, ექვსი ოთახით სამზარეულოთი, მოსამსახურის ბინით, სამრეცხველოთი, ბაღით, ადგილი ყვავილებით და სხ.; მეორე—სამი ოთახით, სამზარეულოთი, ფარდულით, ბაღით. იკითხეთ: გაბილევისა, ნიკოლოზის ქუჩაზე, 97 წერილობითი მიმართვა: Въ Лагодехи, Габилеву. (2—1061—1)

როგორ უნდა დავიფაროთ თავი ჭლექისაგან
და როგორ უნდა მოვირჩინოთ თავი თუ ჭლექი შეგვხვდა.
თხზულება **ა. შაუკესი.** ჰიგიენა ჭლექიანებისა
ფ ა ს ი გაგზავნით 1 მან. 25 კაპ. ფასდადებით 1 მან. 45 კაპ. СПБ. Невскій 108, Т—ва „основа“ 2547. (4—6—1)

ექიმი ე. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში
იღებს შინაგ., ქალ., ბავ. და სიფილ. ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ოთხშაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს. (ნ.—117)

დოქტ. ნავასარდიანისა
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ყოველ დღე, კვირეებს გარდა.

დ ი ლ ი თ:

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

ყ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. აველისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

ა. მ. პუგინოვი: 12—1 ს. შინაგან. ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

ა. პ. კარაპეტიანცი: 1—1½ ს. შინაგან და საბავშვო.

ბ. გ. აგასაროვი: 1½—2 ს. შინაგ. და ბავშვთა ავად.

კბ. ექ. მ. ფ. ბოგდანოვა: 9½—1 ს. ექიმობა, პლომბა, ხელოვნ. კბილები.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ქალ. ექ. პ ს. ზილბერმაცი: 6—6½ ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

ო. ვ. გეევსკაია-ენგელი: 6—6½ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ი. ფ. მარციშევსკი: 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი
მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

მატარებლების მიმოსვლა

18 აპრილიდან 1910 წ.

საათები ნაჩვენებია ტფილისის დროს მიხედვით, რომელიც პეტერბურგისაზე 58 წუთით წინაა.

ტფილისიდან გადის

ბათუმისკენ: N 1, სწრ.—საღ. 11 ს. 28 წ.
N 3, საფ-ს.—დღ. 1 ს. 24 წ.
N 5, სამგზ.—საღ. 7 ს. 31 წ.
ბაქოსკენ: N 2, სწრაფ.—დილ. 8 ს. 15 წ.
N 4, საფ-ს.—საღ. 10 ს. 4 წ.
N 12, სამგზ.—დღ. 2 ს. 38 წ.
ბორჯომისკენ: სამგზ.—დილ. 8 ს. 28 წ.
სამგზავ.—დღ. 3 ს. 36 წ.
ჯულფისკენ: საფოსტო—ღამ. 12 ს. 22 წ.
ერევნისკენ: სამგზავრო—დღ. 4 ს. 15 წ.

ტფილისში მოდის

ბათუმიდან: N 2, სწრ.—დილ. 7 ს. 25 წ.
N 4, საფ-ს.—საღ. 9 ს. 4 წ.
N 6, სამგზ.—დილ. 11 ს. 4 წ.
ბაქოდან: N 1, სწრფ.—საღამ. 10 ს. 36 წ.
N 3, საფოს.—დღ. 12 ს. 24 წ.
N 1. სამგზ.—დილ. 6 ს. 58 წ.
ბორჯომიდან: სამგზ.—დილ. 6 ს. 28 წ.
სამგზ.—საღამ. 8 ს. 08 წ.
ჯულფიდან: საფოსტ.—დილ. 6 ს. 8 წ.
სამგზავ.—დღის, 6 ს. 33 წ.
ერევნიდან. [illegible]

◀ **სამეურნეო ჟურნალი** ▶
მოსავალი
წელიწადი მეორე
მიიღება ხელის მოწერა 1910 წლ სათვის. ჟურნალი გამოვა იმავე პროგრამით. რედაქცია ჰპირდება თავის ხელის მომწერლებს **რჩეულ** მცენარეების **საუკეთესო თესლის** გაგზავნას **უ ფ ა ს ო დ.**
თუ შესძლებს რედაქცია, ჟურნალის ხელის მომწერლებს წლის დამლევს გაუგზავნის აგრეთვე **უფასოდ** თითო **წიგნს-ბროშურას** მეურნეობის რომელსამე დარგიდან.
რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Барятинская 5. Редакція „Мосавали“.

სტამბა „სინათლე“ რუსის ქუჩა № 3
რედაქტორ-გამომცემელი დ. ხრამელაშვილისა.